# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცრუილობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 25 ოქტომბერი, 2008 წელი.

№ 201 (6059)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ფასი 50 თეთრი.


## მოსკოვმა ვაშინგტონს „საქართველოს საკითხის დავიწყება“ შესთავაზა, მაგრამ კატეგორიული უარი მიიღო



2




## ნოემბრის აქციას პერსპექტივა არ უჩანს

2




## ვაკელებისთვის ას-ათიანი ნამეტანი იქნება, ათიანი – ყელგამოჭრილი

3

## რომელი სახელმწიფო ჩინოვნიკები დაისჯებიან დევნილთა დახმარების მითვისებისთვის

11

## ხიზრი ალდამოვი: როცა გროზნო იბომბებოდა, საქართველოს ექიმა

3

**ჩვენი ბოევიკები აფხაზეთში ქართველ ერს კი არ ებრძოდნენ, არამედ – შევარდნაძის რეჟიმს**



◉ რუსი ექსპერტი

**მოსკოვის ინიციატივით, ფინეთში, აშშ-ის შტაბების უფროსების კომიტეტის თავმჯდომარის ადმირალ მაიკლ მულენისა და რუსეთის გენერალური შტაბის უფროსის, არმიის გენერლის ნიკოლაი მაკაროვის ნახევრადგასაიდუმლოებული შეხვედრის ფარულ თუ აშკარა მიზნებზე და ამავე შეხვედრის სავარაუდო შედეგებზე „ინტერპრესნიუსი" რუს სამხედრო ექსპერტს პაველ ფელგენგაუერს ესაუბრა.**

# მოსკოვმა ვაშინგტონს "საქართველოს საკითხის დავიწყება" შესთავაზა, მაგრამ კატეგორიული უარი მიიღო



სამხედრო ექსპერტი და გაზეთ „ნოვაია გაზეტას" სპეციალური კორესპონდენტი პაველ ფელგენგაუერი ერთადერთი ექსპერტი იყო, ვინც ქართულ-რუსული ომის აგვისტოში დაწყება ივნისში იწინასწარმეტყველა. ლიბერალური შეხედულების ექსპერტსა და ჟურნალისტს პაველ ფელგენგაუერს რუსეთის ხელისუფლება აშკარად არ წყალობს, მაგრამ იგი მრავალი სხვა რუსი ჟურნალისტის მსგავსად, როგორც თავად ამბობს, „პროფესიულ საქმიანობას ჯერჯერობით მაინც ახერხებს."

რუსი სამხედრო ექსპერტის პაველ ფელგენგაუერის შეფასებით, ფინეთში, რუსული მხარის ინიციატივით ამერიკელი და რუსი სამხედრო მაღალჩინოსნების შეხვედრით მოსკოვმა ვაშინგტონს პრაქტიკულად „საქართველოს საკითხის დავიწყება" შესთავაზა, მაგრამ აშშ-საგან კატეგორიული უარი მიიღო.

ფელგენგაუერის აზრით, იმის გამო, რომ ადმირალი მულენი და არმიის გენერალი მაკაროვი აშშ-სა და რუსეთის საგარეო პოლიტიკას არ განსაზღვრავენ, მულენ-მაკაროვის შეხვედრისაგან სერიოზული მოლოდინი არც შეიძლება ყოფილიყო, მაგრამ ის, რომ შეხვედრა რუსული მხარის ინიციატივით შედგა იმაზე მიუთითებს, რომ აშშ-ს წინააღმდეგ მედვედევისა და პუტინის მკვეთრი განცხადებების მიუხედავად, მოსკოვი ვაშინგტონთან დაახლოებას ცდილობს.

ექსპერტის თქმით, ფინეთში გამართულ შეხვედრაზე „საქართველოს საკითხის" მოუგვარებლობის შემთხვევაში მოსკოვმა ვაშინგტონთან მოლაპარაკებისა და ხიდების აღდგენის შესაძლებლობისათვის ნიადაგი მოსინჯა. მისი განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ „საქართველოს საკითხში" აშშ-ის შტაბების უფროსების კომიტეტის თავმჯდომარემ, ადმირალმა მაიკლ მულენმა ვაშინგტონის ოფიციალური პოზიცია ცალსახად დააფიქსირა, ეტყობა, დიპლომატიაში გამოუცდელმა, რუსეთის გენერალური შტაბის უფროსმა, არმიის გენერალმა ნიკოლაი მაკაროვმა, „ვერაფერი გაიგო." ფელგენგაუერის განმარტებით, მულენის განცხადება – „აშშ რუსეთის საქართველოში შეჭრით შეშფოთებულია", სწორედ იმას ნიშნავს, რომ ვაშინგტონი შექმნილ ვითარებაში რუსეთთან სამხედრო სფეროში კონტაქტებს მხოლოდ აუცილებელ შემთხვევაში დაამყარებს და ერთის მხრივ, აშშ-სა და რუსეთს, და მეორეს მხრივ, ნატო-რუსეთს შორის სერიოზულ თანამშრომლობაზე საუბარი ნაადრევია.

მისივე მტკიცებით, მოსკოვი იმედოვნებდა, რომ ვაშინგტონთან სხვადასხვა სამხედრო საკითხებზე თანამშრომლობის შესახებ მსჯელობის დაწყების შემთხვევაში, აშშ „საქართველოს საკითხს" დაივიწყებდა და დათახმდებოდა ფორმულას, რომლის თანახმადაც საქართველოში ვითარების რუსული სცენარით დალაგება მხოლოდ მოსკოვის პრეროგატივა იქნებოდა. ფელგენგაუერის თქმით, მას შემდეგ, რაც ფინეთში გამართულ შეხვედრაზე მოსკოვმა ვაშინგტონისაგან „საქართველოს საკითხში" პრინციპული პასუხი მიიღო, მაკაროვმა თავის ამერიკელ კოლეგას გარკვევით მიანიშნა, რომ მოსკოვი ვაშინგტონთან მზადაა სამხედრო სფეროში ისეთ საკითხებში ითანამშრომლოს, რომლებშიც თანამშრომლობის შესახებ გადაწყვეტილების მიღწევა შესაძლებელია და ნაკლებადპრობლემატურია.

ფელგენგაუერის შეფასებით, ფინეთში ვაშინგტონისა და მოსკოვის წარმომადგენლები რეალურად ვერაფერზე ვერ შეთანხმდნენ, ვინაიდან მულენმა და მაკაროვმა ორივე მხარისათვის მნიშვნელოვან თემებზე აშშ-სა და რუსეთის პოლიტიკური ხელისუფლების პოზიციები დააფიქსირეს.

ფინეთში მხარეთა წარმომადგენლები კი შეხვდნენ ერთმანეთს, ისაუბრეს, მაგრამ ისე დაიშალნენ, რომ პრაქტიკულად ვერაფერზე ვერ შეთანხმდნენ, — დასძინა პაველ ფელგენგაუერმა საუბრისას.

**ინტერპრესნიუსი**

◉ ინფორმაცია

## სეპარატისტებმა და ოკუპანტებმა ხიდი ააფეთქეს

**გუშინ აფეთქება მოხდა გალის რაიონის სოფელ თაგილონში.**

**აფხაზმა სეპარატისტებმა და რუსმა ოკუპანტებმა თაგილონისა და ზუგდიდის რაიონის სოფელ შამგონას დამაკავშირებელი სარკინიზო ხიდი ააფეთქეს.**

**რამდენიმე დღის წინათ კი, სეპარატისტებმა ამ სოფლებს შორის არსებული საავტომობილო ხიდიც ააფეთქეს.**

**ადგილობრივი მოსახლეობის ვარაუდით, ასეთი დივერსიული აქტებით აფხაზები და რუსები ცდილობენ, ქართველ მოსახლეობას გალის რაიონში გადასასვლელი გზები შეუზღუდონ.**

**ინტერპრესნიუსი**

◉ ვარაუდი



# ნოემბრის აქციას პერსპექტივა არ უჩანს

**ქართული ოპოზიცია სამ ნაწილად შეიძლება დავყოთ: ეგრეთ წოდებული საპარლამენტო, ქუჩისა და ოფისის. საპარლამენტო ოპოზიცია ხელისუფლებასთან დიალოგისა და თანამშრომლობის მომხრეა. თუმცა, სახელი პირობითია, რადგანაც გარე ოპოზიციაშიც არიან ისეთები, ვინც დიალოგის ფორმას ემხრობა, მაგალითად, ედპ. ქუჩის (სახელწოდება აქაც, რა თქმა უნდა, პირობითია) ოპოზიცია მიტინგის ფორმას ემხრობა და ამ გზით ხელისუფლების გადაყენებას ცდილობს. პირობითი სახელწოდებით — საოფისე ოპოზიცია (მათ არც ქუჩაში სურთ გასვლა და ჯერჯერობით ვერც საპარლამენტო მუშაობაში მონაწილეობენ) მოვლენებს ოფისიდან აკვირდებიან. თუმცა აქტიურობენ და თავიანთი პოლიტიკური გემოვნებაც ჩამოყალიბებული აქვთ. განსხვავებული ხედვისა თუ შეხედულების მიუხედავად, სამივე მათგანს ერთი მიზანი აქვთ - მოვიდნენ ხელისუფლებაში.**

განსხვავებულობის მიუხედავად, თითოეული მათგანი დარწმუნებულია, რომ დემოკრატიის პირობებში სააკაშვილის ხელისუფლება დასრულდება. ამიტომაც ქუჩის ოპოზიცია ხალხის მშვიდობიანი აქციების გზით დემოკრატიული არჩევნების დანიშვნას ითხოვს, საოფისე ოპოზიცია — პრეზიდენტის უფლებების შეკვეცას, საპარლამენტო კი ვერტიკალზე გაძლიერებასა და გავლენების გაფართოებას ესწრაფვის (ბუნებრივია, ასევე ემხრობა პრეზიდენტის უფლებების შეკვეცასძ, რაც საბოლოოდ მას ხელისუფლებაში მოსვლის შანსსაც გაუზრდის.

ასე რომ, დემოკრატია და დემოკრატიული პროცესები ახლა დაპირისპირების მთავარ იარაღად რჩება. მთავარი ინტრიგა კი ის არის, რას დაუპირისპირებს ამ იარაღს ხელისუფლება.

საქართველოს ხელისუფლებამ ორი კატასტროფა უკვე გადაიტანა. ერთი შარშან ნოემბერში და მეორე ახლა აგვისტოში. გახდება თუ არა დემოკრატია ამ ხელისუფლებისთვის მესამე და საბედისწერო კატასტროფა? ანუ, ეშინია თუ არა სააკაშვილს დემოკრატიის?

ოპოზიცია დარწმუნებულია, რომ ეშინია, ისევე როგორც ზუსტად იცის, რომ დასავლეთს ქართული დემოკრატია არ მოსწონს და ხელისუფლებას ქმედითი რეფორმების გატარებას ურჩევს.

იხ. 4 გვ.

◉ აფხაზეთი – ტკივილი ჩვენი

# ვინ აკონტროლებს სამურზაყანოს?

**კვლავ და კვლავ ვრცელდება წინააღმდეგობრივი ინფორმაცია სამურზაყანოში, - გალის რაიონში შექმნილი ვითარების თაობაზე. ზოგიერთი ცნობით, ამ რაიონს უკვე მთლიანად რუსები აკონტროლებენ. მათ მავთულხლართით გადაკეტეს ენგურის ხიდი და გააძევეს ამ „საკონტროლო-გამშვები პუნქტიდან" აფხაზურ სტრუქტურათა წარმომადგენლები, ანუ მესაზღვრეები და მებაჟეები.** ადგილობრივი მაცხოვრებლები კი შიშობენ, რომ ხიდზე ორივე მიმართულებით გადაადგილება სრულიად შეუძლებელი გახდება, რაკი აფხაზური ხელისუფლების ყველაზე მკაცრი აკრძალვების დროსაც კი, ისინი ახერხებდნენ აფხაზ მებაჟეებთან და მესაზღვრეებთან მოლაპარაკებას, მათ შორის ბევრი ნაცნობი და ნათესავიც იყო, ხოლო „რუსებთან საერთო ენის გამონახვა კიდევ უფრო რთული იქნება". ამ ინფორმაციის შესაბამისად, აფხაზური „ძალოვანი სტრუქტურების" წარმომადგენლებმა ოჩამჩირეში, უფრო ზუსტად, მდინარე ღალიძგასთან გადაინაცვლეს და გალის ადმინისტრაციაშიც მხოლოდ რუსები (სამხედროები და რუსულ სპეცსამსახურთა წარმომადგენლები არიან; გამოდის, გალის რაიონში მოსკოვის „პირდაპირი მმართველობა" დამყარდა.

თუმცა, აფხაზური მხარე ამ ინფორმაციებს კატეგორიულად უარყოფს. გალის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა რუსლან ქიშმარიამ „ჯი-ეიჩ-ენ"-ს მხიარული ტონით განუცხადა: „კი, როგორ არა, აი ახლა გალის ადმინისტრაციის შენობაში, ჩემს ყოფილ კაბინეტში დიმიტრი მედვედევი ზის და ყველაფერს ის განაგებს". ქიშმარიას თქმით „გალში არაფერი შეცვლილა, აფხაზეთ-საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე ყველა ჩვენი პოსტი ძველებურად მოქმედებს, - როგორც საბაჟო, ასევე სასაზღვრო სტრუქტურები. გადაადგილება შეზღუდულია, რადგან ქართული მხრიდან ტერაქტებს ველით".

რაც შეეხება გალში რუსული ბაზის დაფუძნებას, ქიშმარიამ ეს ინფორმაცია მთლიანად დაადასტურა: უახლოეს მომავალში რუსეთს, ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე, გალის რაიონში სამხედრო ბაზა ექნება. იგულისხმება, რომ რუსეთის ჯარები დისლოცირდებიან გალში, ნაწილობრივ ოჩამჩირეში და გუდაუთაში.




ოსებისაგან განსხვავებით, აფხაზებს ეს პერსპექტივა დიდად არ ეპიტნავებოდათ, მაგრამ მოსკოვმა ულტიმატუმის სახით დასვა. არადა, ჯერ კიდევ რამდენიმე კვირის წინათ, საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა სააგენტოსთან ინტერვიუში აცხადებდა, რომ ოჩამჩირეში არანაირი „ბაზა" არ იქმნება და საერთოდ, აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსული ბაზის განლაგება პრეზიდენტ ბაღაფშის პირადი მოსაზრებაა.

რაც შეეხება გავრცელებულ ინფორმაციას, როგორც ჩანს მისი საფუძველია ის გარემოება, რომ მას შემდეგ, რაც მთლიანად გაუქმდა 1994 წლის სამშვიდობო შეთანხმებები და რუსულ ძალებსაც აღარ აქვთ „სამშვიდობო სტატუსი", ოფიციალურმა სოხუმმა გადაწყვიტა გალის რაიონში დამატებითი ძალები, კერძოდ საჯარისო ფორმირებები შეეყვანა.

უკანასკნელ ომამდე მოქმედი შეთანხმებებით მას სამურზაყანოში მხოლოდ მილიციის შეზღუდული კონტინგენტის ყოლის უფლება ჰქონდა. სეპარატისტები ყოველნაირად ცდილობენ ენგურის საზღვარი ისე გადაკეტონ, რომ მათი ნებართვის გარეშე ყოველგვარი მოძრაობა გამოირიცხოს. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ აღმოსავლეთ აფხაზეთში საკვები პროდუქტები სწორედ სამეგრელოდან შედის, ხოლო ენგურჰესის პერსონალის გადაადგილებაში თვით აფხაზური მხარეა დაინტერესებული, საზღვრის სრული ჩაკეტვა დიდხანს ალბათ არ გაგრძელდება.

**ნიკა ვაშაკიძე,**
**„ჯი-ეიჩ-ენი"**

წინასაარჩევნოდ

***შუალედურ არჩევნებზე ქრისტიან-დემოკრატებმა იფიქრეს, იფიქრეს და ბოლოს თამაზ კვაჭანტირაძეზე ჩამოვიდნენ ფსონს. როგორც თვითონ მიიჩნევენ, ათიანებმა ათიანში გაარტყეს.***

***ამ გათვლის სისწორეში 3 ნოემბერს დარწმუნდებით, იქამდე კი დეპუტატობის კანდიდატი თამაზ კვაჭანტირაძე აქტიურად მართავს შეხვედრებს ვაკელ ამომრჩევლებთან და უპირველესად, რასაც მათგან მოკრძალებულად ითხოვს, ეს არის მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში.***

***კვაჭანტირაძის წინასაარჩევნო დაპირებათა ნუსხა, მოკლედ თუ ვიტყვით, ასეთია: ჩემი პირადი ეკონომიკური რესურსებით ვერც გზას დაგიგებთ, ვერც სანკვანძებს მოგიწესრიგებთ, მაგრამ გპირდებით, ვისაც თქვენი კანონიერი საყოფაცხოვრებო პრეტენზიის დაკმაყოფილება ევალება, ბზიკივით შევუჩნდები, არც მე დავიძინებ, არც იმათ დავაძინებ და გასაკეთებელს გავაკეთებ.***

***ვაკის ამომრჩევლებთან შეხვედრაზე, რომელიც სიმბოლურად ვაჟას ძეგლთან გაიმართა, თამაზ კვაჭანტირაძემ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ მისი მუშაობის ძირითადი პრიორიტეტები განათლების, კულტურის, დედა ენისა და სიტყვიერების, მოკლედ — ქართული სულიერების დაცვა და განვითარება იქნება.***

***ამომრჩევლებმაც სულიერ ნაკლოვანებებზე ისაუბრეს, მაგალითად: ენის პალატის არარსებობაზე, განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმებზე, სასკოლო წიგნების ხარვეზებზე. ყოფითი პრობლემებიდან მხოლოდ უმუშევრობაზე გამახვილდა ყურადღება, ორმა პედაგოგმა დეპუტატობის კანდიდატს სამსახურის პოვნაში დახმარება სთხოვა და მანაც აღუთქვა, შევეცდებიო.***

***დეპუტატობის კანდიდატის შეპირებებისა არ იყოს, ამომრჩევლებიც შეჰპირდნენ, რომ მას მისცემდნენ ხმას და შეკრებაც დაიშალა. დრო ვიშოვე და ბატონ თამაზს გავესაუბრე.***




# ვაკელებისთვის ას-ათიანი ნამეტანი იქნება, ათიანი — ზედგამოჭრილი

## ილიელი თამაზ კვაჭანტირაძის მორიგი შეხვედრა ამომრჩევლებთან

**— ბატონო თამაზ, რის იმედად აძლევთ იმედს ამ ხალხს? პარლამენტში მოსული უმრავლესობის ფონზე, თქვენ გგონიათ, რომ საქმის კეთებას შეძლებთ?**

— პოლიტიკაში წაგებული სიტუაცია არ არსებობს. გულხელი დავიკრიფოთ და ვიძახოთ ცუდი ხელისუფლება, ცუდი პარლამენტი გვყავსო?

რასაკვირველია, ერთი კაცის შესვლა-გამოსვლა გადამწყვეტი არ არის, მაგრამ გრიგოლ ორბელიანი ამბობდა, ოკეანე წვეთით ივსებაო. ერთი სალი გონება, გონიერი პიროვნება პარლამენტში, უკვე გარკვეული ძალაა. ამიტომ არ ვეთანხმები ოპოზიციის ერთი ნაწილის დამოკიდებულებას, რომელმაც უარი განაცხადა პარლამენტში მუშაობაზე.

დავით გამყრელიძემ ვაკეში პატიოსნად მოიგო, იმის მიუხედავად, რომ ზეწოლა იყო. მოგებისთვის ის ქების ღირსია, მაგრამ, ჩემი აზრით, მან პოლიტიკური შეცდომა დაუშვა (და არა მარტო მანძ, როცა პარლამენტში შესვლაზე უარი თქვა. შეიძლება მკითხოთ, ეს უიმედო ბრძოლა იქნებოდაო. დიახაც, უიმედო ბრძოლაშიც ხანდახან უნდა ჩაება ადამიანი. ეს არის სულიერების გადარჩენის ერთ-ერთი საშუალება.

პარლამენტი ის ასპარეზია მაშინ, სადაც ჯანსალი ოპოზიციური ძალა უნდა იყოს.

**— ვაკის ამომრჩეველმა მაშინ ხმა მისცა რადიკალური ოპოზიციის წარმომადგენელს, თქვენ კი მათ კონსტრუქციულობაზე ესაუბრეთ და უკიდურესობები გამორიცხეთ.**

— გამყრელიძეს აქ მხარდაჭერა ამიტომ ჰქონდა, რომ ის იყო ზომიერი, გაწონასწორებული ოპოზიციონერი, თუმცა ამავე დროს პრინციპული და შეუპოვარი. შეიძლება მერე გადადგმული ნაბიჯები კონსტრუქციულ ჩარჩოში არ ეტეოდეს, მაგრამ მისი იმიჯი მაინც ზომიერება იყო. ვაკე მაინც ინტელიგენციის რაიონია, აქ ელექტორატს ვერ მოისყიდი, ვერ დააშინებ. ამომრჩევლის დაკვეთაა, რომ მათი დეპუტატი გაწონასწორებული იყოს. თუ მე ამირჩევენ, სწორედ ასეთი პოლიტიკის გატარებას ვაპირებ.

**— თქვენ 3 ნოემბრისთვის ემზადებით, ძალიან ბევრი რადიკალურად მოაზროვნე ადამიანი — 7 ნოემბრის საპროტესტო აქციაზე წასასვლელად. ისინი ცვლილებებს მოითხოვენ, თქვენ რას ფიქრობთ ამაზე?**

— უნდა ჩატარდეს დიდი აქცია. ზომიერებაში, კონსტრუქციულობაში სულაც არ ვგულსხმობ იმას, რომ მთავრობა რამდენ სისულელეს, შეცდომას დაუშვებს, იფ, იფ, იფო, ვიძახოთ.

**— მაშ, რას გარგებთ ასეთ ხელისუფლებასთან თანამშრომლობა?**

— ცოცხალმა ადამიანმა თანამშრომლობა ყველასთან უნდა შეძლოს. წინაალმდეგ შემთხვევაში მოხდება რადიკალიზაცია, დაპირისპირება, „მოკლე ჩართვა". გინდათ? ვინმეს უნდა საქართველოში ძმათამკვლეტი ომი? ამიტომ ყველამ, ოპოზიციამაც და პოზიციამაც, თავის თავში ძალა უნდა იპოვოს, რომ არ მოიჭრას ერთმანეთთან მისასვლელი გზები.

ადვილია იმის განცხადება (ახლა ამისთვის არავის იჭერენძ, რომ ხელისუფლება დასამხობია, ხელისუფლება უნდა წავიდეს...

**— თუმცა თქვენ ამომრჩეველს რაღაც კონტექსტში უხსენეთ კიდეც, რომ ეს ხელისუფლება შესაცვლელიაო.**

— დიახ, შესაცვლელია, მაგრამ არა დასამხობი. ამ ხელისუფლების წარმომადგენლებს უნდა ჰქონდეთ იმის განცდა, რომ უცვლელი არაფერია. ამიტომ არსებობს ცნება — რიგგარეშე არჩევნები, თუკი საჭიროება და გარემოება მოითხოვს, ამას ანგარიში უნდა გაუწიოს ხელისუფლებამ.

ადგილს, დროს უნდა შერჩევა. როცა რუსული ტანკი 30 კილომეტრში დგას, ამის განცხადება არასწორია. ასეთ დროს ოპოზიციას მოზომილი ნაბიჯების გადადგმა მართებს.

**— იქნებ არც დასჭირვებოდა ასეთი უკიდურესი გზების ძიება, რომ არა ქრისტიან-დემოკრატების შესვლა პარლამენტში, რომლებმაც კომფორტი შეუქმნეს მონოპარტიულ უმრავლესობას?**

— რატომ ქრისტიან-დემოკრატებმა? აი, აქ უკვე მასმედიის ტენდენცია ჩანს. გაიხსენეთ, ჯერ თვითონ იმ რადიკალური ოპოზიციის რღვევა დაიწყო.

პარლამენტის ბოიკოტის გამოცხადება, საპარლამენტო ბერკეტის უგულებელყოფა ბევრს არაფერს შესძენდა ოპოზიციას უფლებრივი თვალსაზრისით, ხოლო მონოპარტიული პარლამენტი რომ სირცხვილით დაიწვებოდა, ესეც გულუბრყვილობა მგონია.

რაც შეეხება ქრისტიან-დემოკრატებს, ჩემმა მსოფლმხედველობამ და ცხოვრების ნირმა განსაზღვრა ეს არჩევანი, თუმცა ამ პარტიის წევრი არა ვარ. რაც განათლების მინისტრობიდან წამოვედი, ოთხი არჩევნები ჩატარდა და სახელისუფლებო ძალას არც ერთხელ არ გავხსენებივარ. ჩემი კანდიდატად შერჩევით ქრისტიან-დემოკრატებმა ერთგვარი გამოწვევა გაუგზავნა მათ, ვინც ჩემი და ჩემი შემდგომი თაობაც კი საზოგადოებრივი ასპარეზიდან ჩამოწერილად მიიჩნია. ღირებულებათა შკალა, პოლიტიკური პროცესების ხედვა, სტრატეგიული გეზი და ტაქტიკური საშუალებანი მაერთიანებს ამ პოლიტიკურ მოძრაობასთან.

**— რით განსხვავდებით თქვენი ოპონენტი დეპუტატებისაგან? მაგალითად, ლევან ასათიანი ის ერთ-ერთია, რომელიც რადიკალურ ოპოზიციას გაემიჯნა.**

— ეს ამომრჩეველმა უნდა განსაჯოს, მე ვერ გამოგადგებით. ლევან ასათიანის წარმატება გულწრფელად გამიხარდება, ის ჩემი ახლობლის შვილია.

თუმცა თავს ლაღობის უფლებას მივცემ და ვიტყვი: ვაკელებისთვის ას-ათიანი ნამეტანი იქნება, ათიანი — ზედგამოჭრილი!

ესაუბრა
**თეა მოსია**

ვინ როგორ ხედავს

# ხიზრი ალდამოვი: როცა გროზნო იბომბებოდა, საქართველოს ეძინა

## ჩეჩენი ბოევიკები აფხაზეთში ქართველ ერს კი არ ებრძოდნენ, არამედ – შევარდნაძის რეჟიმს

### გვესაუბრება 1992-2003 წლებში ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიის წარმომადგენელი საქართველოში ხიზრი ალდამოვი



**— ბატონო ხიზრი, ჯერ კიდევ აგვისტოს მოვლენებამდე საერთაშორისო ექსპერტთა ერთი ნაწილი ფიქრობდა, რომ რუსეთის მიერ სოხუმისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებას ჩრდილოკავკასიაში ვითარების გამწვავება მოჰყვებოდა. ნაწილობრივ ასეც მოხდა — ინგუშეთში საპროტესტო გამოსვლებია, იყო ტერაქტიც... როგორ ფიქრობთ, რამდენად მოსალოდნელია უფრო ფართომასშტაბიანი ხასიათი შეიძინოს ამ პროცესმა?**

— იცით რა, მიკვირს ხოლმე, როცა სვამენ კითხვას: რუსეთმა აღიარა სოხუმი, ცხინვალი და ჩრდილოკავკასიას რა რეაქცია ექნება ამაზეო. არავინ კითხულობს, რა პოზიცია ჰქონდა საქართველოს, როცა ჩეჩნეთი და მთელი ჩრდილოეთ კავკასია განსაცდელში იყო, როცა მთელი ორი წლის განმავლობაში გროზნო იბომბებოდა და ხალხი საშინელ დღეში აღმოჩნდა... გეტყვით: მაშინ საქართველოს ეძინა. მეტიც — საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ, იმის ნაცვლად, რომ რუსეთის ბარბაროსობაზე ხმა აღემაღლებინა, აქ გადმოსული ჩეჩენი ბიჭები სათითაოდ დააკავა და ყველა რუსეთს გადასცა, დაბადების დღეზე საჩუქრად „მიართვა" პუტინს... ეს გააკეთა პირველმა პრეზიდენტმა და იგივე გაიმეორა შემდგომმაც... ყოველთვის ვეუბნებოდი მათ: ნუ აკეთებთ ამას, ეს ბიჭები არ არიან დამნაშავეები და ტერორისტები-მეთქი, მაგრამ ყურიც არ მათხოვეს — ოღონდ რუსეთისთვის ეამებინათ და სულ ფეხებზე არ ეკიდათ, ჩეჩნებს გაანაწყენებდნენ თუ გადაიმტერებდნენ!...

... 2004 წელს საკვებში რაღაც გამირიეს და მომწამლეს, ცხადია, ამაში რუსეთის ხელი ერია, მაგრამ ხმა არავის ამოუღია, თითქოს არაფერი მომხდარა. მას მერე კიდევ სამჯერ სცადეს ჩემი მოკვლა და სამივე შემთხვევაში პირველივით მიაჩუმათეს... ვიმეორებ, რატომ ჰგონია ვინმეს, რომ რახან საქართველო დაიბომბა, მთელი ჩრდილოეთ კავკასია „აფეთქდება"? არაფერიც არ მოხდება, ის შანსი, ის დრო, როცა შეიძლებოდა ერთად ვყოფილიყავით საერთო მტრის წინაამდეგ, წავიდა, ახლა ყველაფერი სხვაგვარადაა...

ქართველებისგან განსხვავებით, ჩეჩნებმა ერთი ჭეშმარიტება იციან — რუსეთთან შეუძლებელია რაიმე მოლაპარაკება, დაზავება, მათთან „საუბარი" შეიძლება მხოლოდ იარაღისა და ძალადობის „ენით". ამიტომ ჩვენ ავირჩიეთ ომი, ბრძოლა ჩვენი ქვეყნისა და ეროვნული ღირსების დასაცავად. ჩვენ შევიგენით, რომ რუსეთი ჩვენი მტერია...

იხ. 4 გვ.

ვარაუდი

(მეორე გვერდიდან)

# ნოემბრის აქციას პერსპექტივა არ უჩანს

და რომ დასავლეთი არ ცდება ქართულ დემოკრატიასთან დაკავშირებით, ამის დამტკიცებას გარე ოპოზიცია შვიდ ნოემბერს აპირებს, ისევე, როგორც აპირებს დაუმტკიცოს ყველა დაინტერესებულ პირს, რომ ამ ხელისუფლების მიმართ ხალხს პროტესტის ძლიერი გრძნობა აქვს.

თუმცა ჯერ ისევ უცნობია, რას და როგორ აპირებს ოპოზიცია. სხვადასხვა პარტიის ლიდერები ინტერვიუებში ჯერ მხოლოდ იმას აცხადებენ, რომ მალე ყველაფერი გაირკვევა. როდის „მალე“ ან კონკრეტულად რას ელოდებიან ისინი, ამის შესახებ მინიშნებასაც კი არ აკეთებენ.

მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ ერთი წელი გავიდა 7 ნოემბრის მოვლენებიდან, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ოპოზიცია ამ თარიღს საკმაოდ მოუმზადებელი ხვდება. შარშან მათ ლიდერიც ჰყავდათ, ფინანსებიც ჰქონდათ და უფრო მეტად შეკრულებიც ჩანდნენ. ახლა არც ლიდერი ჰყავთ, როგორც თავად აცხადებენ, არც ფინანსები აქვთ და ერთიანობაზე ხომ საუბარიც არ არის. ერთმანეთზე აუგის თქმას არ ერიდებიან.

ხელისუფლება კი აგვისტოს კრიზისის შემდეგაც ინარჩუნებს ერთიანობას თავის რიგებში. ყველა, როგორც ერთი, აცხადებს, რომ აგვისტოს მოვლენების შემდეგ გავიმარჯვეთ, რომ საქართველო მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია და დემოკრატიასა და თავისუფლებისთვის მებრძოლი ხალხისთვის (ანუ ჩვენთვისძ, არც ფულს დაიშურებენ და არც სიტყვებს. ეს ბევრჯერ დაამტკიცეს კიდეც.

ხელისუფლებაში სერიოზული უკმაყოფილებისა თუ დაპირისპირების მიუხედავად, არც ერთი მინისტრი თავის ემოციებს საჯაროდ არ გამოხატავს. მაგალითად, ყველა დარწმუნებულია, რომ პრემიერ-მინისტრი უნდა გადადგეს და სააკაშვილი მის შემცვლელს ეძებს, მაგრამ ვერავინ და არავინ არ გააკეთებს კრიტიკულ განცხადებას. ის, რაც ხელისუფლების იმიჯს ეხება, ხელშეუხებელია.




ოპოზიციისგან განსხვავებით, სახელისუფლო ვერტიკალს გამოკვეთილი ლიდერიც ჰყავს. რა თქმა უნდა, მიხეილ სააკაშვილის სახით. ხელისუფლების მთელი პრობლემა ის არის, რომ სხვა ასეთივე გამოკვეთილი ლიდერი არ ჩანს, ისევე როგორც ოპოზიციის პრობლემაა ლიდერების სიჭარბე, ანუ ოპოზიციაში, ყველა თავის პოლიტიკურ კვადრატში თავს ლიდერად გრძნობს და ერთ საერთო ფიგურაზე ვერ თანხმდება. თუ სხვადასხვა პარტიის გაერთიანება თავის დროზე ბადრიმ შეძლო, ეს მხოლოდ მისი ჯადოსნური ფინანსური შესაძლებლობების გამო.

ამბობენ, რომ ახლა ასეთ ჯადოქრად, შესაძლოა, ბორის ბერეზოვსკი იქცეს. თითქოს გარკვეული კონტაქტები უკვე არსებობს. თუმცა ვრცელ ინტერვიუებში სხვადასხვა პარტიის ლიდერები ბერეზოვსკიზე სიტყვასაც არ ძრავენ. სამაგიეროდ, აქტიურად ატრიალებენ ტელეიმედის თემას. „იმედი“ ბადრის ოჯახს დაუბრუნეთო. უკვე ბევრი ფაქტით დასტურდება, რომ ინა გუდავაძის უკან სწორედ ბერეზოვსკი დგას, რომელმაც პატარკაციშვილის ქონების 50% პროცენტზე განაცხადა პრეტენზია. თითქოს ეს შეთანხმება ინასა და ბორიას შორის წერილობითაც გაფორმდა.

ბერეზოვსკის ლოგიკა მარტივია: მე ჩემი აქტივები და ფინანსები ბადრის ჩავაბარე და, შესაბამისად, მისი ქონება, ფაქტობრივად, ჩემიაო. ასე რომ, არ არის გამორიცხული, ახლა ფული ქართულ პოლიტიკურ სივრცეში ბორიამ ჩადოს. სხვათა შორის, ერთხელ მან ღიად თქვა, რომ თავისი მეგობრის, ბადრის საქმის გაგრძელებას აპირებს.

ამდენად, არ არის გამორიცხული „იმედის“ თემა შვიდი ნოემბრის აქციებში ერთ-ერთი წამყვანი გახდეს.

თუმცა ჯერ ფინანსების საკითხი უნდა გადაწყდეს და შემდეგ ის, თუ ვინ ჩაებმება ამ ფინანსურ „ფერხულში“.

ხელისუფლებას ამ მხრივ ყველაფერი წესრიგში აქვს. ყველამ იცის, რომ რა-რა და ფინანსები ამ ხელისუფლებას რეიტინგზე მეტი აქვს.

თუმცა, როგორც ამბობენ, სიფრთხილეს თავი არ სტკივა, ამიტომაც საშვიდნოემბრო მზადება ვერტიკალმაც დაიწყო. შესაძლოა, ამ სამზადისს საკმაოდ ცხელი სამზარეულო აქვს, მაგრამ ამას ჩვენ ვერ ვხედავთ, თუმცა, შეგვიძლია ვიგრძნოთ ნოემბრის მოახლოებასთან ერთად. ღია ნაბიჯები კი ხელისუფლებამ გადადგა. მაგალითად, მოულოდნელად დაიწყო ლტოლვილების მასობრივი გაყვანა თბილისიდან. ოფიციოზის ადრინდელ განცხადებებს თუ გავითვალისწინებთ, დეკემბრამდე ლტოლვილები დედაქალაქში უნდა დარჩენილიყვნენ.

როცა ოპოზიცია ხალხის რაოდენობაზე საუბრობდა, ბუნებრივია, სათვალავში ლტოლვილებიც ჰყავდა. ახლა ოპოზიციის ლიდერები ცხარე განცხადებებს აკეთებენ ხალხში ემოციებისა და პროტესტის გასაღვიძებლად. ხელისუფლებას კი მისი ჩაქრობა უწევს. თუმცა არა ისე საჯაროდ და ღიად, როგორც მის აგიზგიზებას ოპოზიცია ცდილობს.

ასე რომ, ნოემბრის აქციას პერსპექტივა არ უჩანს. ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე და ამ ფონზე, როცა მსოფლიო სოლიდური ფინანსებით ეხმარება სააკაშვილის ხელისუფლებას.

ვითარებას ისიც ართულებს, რომ ოპოზიციაში აზრი გაიყო. ვიღაცები გავლენ მიტინგზე, სხვები ოფისებში დარჩებიან. ვიღაცისთვის დემოკრატია და სამართლიანობა სააკაშვილის გადაყენებაა და ზოგიერთებისთვის — მისთვის უფლებების შეკვეცა. გარედან ახლა რამის აგორების შესაძლებლობა რთული წარმოსადგენია. ხელისუფლებისთვის პოლიტიკური სეკვესტრი შესაძლოა უფრო დასაფიქრებელი (და არა საშიშიძ იყოს, ვიდრე ქუჩა.

მაგრამ ეს სულ სხვა თემა და ისტორიაა.

**ქეთი ხატიაშვილი.**

ჯი-ეიჩ-ენი

ვინ როგორ ხედავს

# ხიზრი ალდამოვი: როცა გროზნო იბომბებოდა, საქართველოს ეძინა

## ჩეჩენი ბოევიკები აფხაზეთში ქართველ ერს კი არ ებრძოდნენ, არამედ — შევარდნაძის რეჟიმს

(მესამე გვერდიდან)

**— კი მაგრამ, აფხაზეთის ომში ჩეჩნები და რუსები ერთ სანგარში ისხდნენ...**

— ერთ სანგარში შეიძლება ისხდნენ, მაგრამ იქ მათ თავიანთი მიზნები ჰქონდათ — ჩეჩენი ბოევიკები ებრძოდნენ შევარდნაძესა და მის რეჟიმს, რომელიც მოსკოვიდან სპეციალურად ჩამოიყვანეს კრემლის დაკვეთების შესასრულებლად, თუმცა ქართულმა საზოგადოებამ ეს ცოტა სხვანაირად აღიქვა... არ ვამართლებ იმ ბიჭებს, ვინც აფხაზეთში რუსების გვერდით იბრძოდნენ, მაგრამ მაშინ ქართულმა მხარემაც უამრავი შეცდომა დაუშვა. მათ შორის ყველაზე დიდი შეცდომა აფხაზეთში ჯარის შეყვანა იყო.

**— ჯარი რომ არ შეგვეყვანა, რა მოხდებოდა?**

— არაფერიც არ მოხდებოდა, იქნებოდა შეხვედრები, მოლაპარაკებები, შეიძლება უშედეგოდ, მაგრამ ტერიტორიებს მაინც არ დავკარგავდით.

**—კი, მაგრამ ქართული მოსახლეობის უსაფრთხოებას ვინ დაიცავდა.**

— ქართული მოსახლეობა, რა თქმა უნდა, საქართველოს ხელისუფლებას უნდა დაეცვა, მაგრამ ამაზე მანამდე უნდა ეფიქრათ, სანამ იარაღის გამოყენება აუცილებელი გახდებოდა. რუსეთმა აფხაზეთსა და სამაჩაბლოშიც ომამდე დიდი ხნით ადრე დაიწყო პასპორტების დარიგება და მაშინვე განგაში უნდა აეტეხათ...

კიდევ ერთხელ მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ ჩეჩენი ბოევიკები აფხაზეთში არ ებრძოდნენ ქართველ ერს, ისინი ებრძოდნენ შევარდნაძის რეჟიმს, რომელსაც ზურგს უკან კრემლი უმაგრებდა. ზოგი იტყვის: კი მაგრამ აფხაზეთი ხომ ჩვენი ისტორიული მიწა იყოო. კი იყო, მაგრამ დღეს რომ ეს მიწა სადავოა, განა ისევ ქართველის ბრალი არ არის?! — ვინ იყო სტალინი, ბერია? რა, ქართველები არ იყვნენ ისინი?!

**— თქვენ თქვით, რომ ჩეჩნები აფხაზეთში შევარდნაძის რეჟიმს ებრძოდნენ. კარგი და პატიოსანი, მაგრამ ახლა, ცხინვალში ვის ებრძოდნენ?**

— მოდით, კითხვა ასე დავსვათ: რაში სჭირდება რუსეთს საქართველოსთან საომრად ჩეჩნების მოშველიება, როცა თვითონ უზარმაზარი არმია ჰყავს? პასუხი მარტივია: ჩეჩნები, ქართველები, ინგუშები და, საერთოდ, ყველა კავკასიელი ერები ერთმანეთს უნდა გადაჰკიდოს, ეს პროპაგანდაა... არ ვამბობ, რომ სამაჩაბლოში ჩეჩნები არ იბრძოდნენ, მაგრამ რუსეთის პროპაგანდა ამას ათმაგად აბუქებდა. თქვენ როგორ გგონიათ, თუ ერში ერთი-ორი ისეთი ურევია, რომელსაც შეუძლია მოყვარე მტრად გაიხადოს, განა მთელი ერი ძაგების ღირსია?! ეს არ არის სწორი მიდგომა. ჩეჩნებს ქართველებისაგან ბევრი სიკეთე გვახსოვს, ჩვენ არა ვართ გულმავიწყი ხალხი, ჩვენ არ დაგვიწყებია, რომ 1999 წელს, როცა რუსეთი მეორედ დაგვესხა თავს და ქვეყანა მიწასთან გაასწორა, შევარდნაძემ გზა გაგვიხსნა, დერეფანი მოგვცა, და საქართველოში შემოგვიშვა. ჩვენ გვახსოვს ჩეჩნეთის პრეზიდენტის მასხადოვის ჩამოსვლა თბილისში და აქაური დახვედრა, რისთვისაც ჩეჩენი ერი დღესაც საქართველოს და ქართველი ხალხის მადლიერია.

**— ზემოთ ინგუშეთში განვითარებულ მოვლენებზე ვსაუბრობდით...**

— ვსაუბრობდით, მაგრამ ამომწურავი პასუხი ვერ გაგეცით, იმიტომ, რომ კითხვა ცოტა არ იყოს რთულია. რაც შეეხება ეროვნულ მოძრაობას, არა მარტო ინგუშები და ჩეჩნები, მთელი ჩრდილოკავკასიელი ერები დღესდღეობით ისე არიან დაქსაქსული, რუსეთის სპეცსამსახურები ისე აქტიურად მუშაობენ ყოველგვარი ეროვნული ტენდენციების ჩასახშობად, რომ ძნელია ეროვნულგანმათავისუფლებელი მოძრაობის რაიმე წინაპირობებზე საუბარი, თუმცა ინგუშეთში ბოლო დროს მომხდარი ფაქტები კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ ჩრდილოეთ კავკასია არ შეგუებია და არც შეეგუება საკუთარ მიწაზე რუსული ჩექმის ბატონობას.

**ესაუბრა
ჯაბა ჟვანია.**

ინფორმაცია

### ემინ-ზადეს მკვლელობას ოტობაიელ გამსონიას აბრალებენ

**აფხაზეთის დე ფაქტო თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის განყოფილების უფროსის ედუარდ ემინ-ზადეს მკვლელობაში გალის მილიციის სამმართველოს თანამშრომელი, სოფელ პირველ ოტობაიაში მცხოვრები რობერტ გამსონიაა ეჭვმიტანილი. ამის შესახებ გალის რაიონიდან ინფორმირებული წყარო იუწყება.**

**არსებული ვერსიით, გამსონიამ მკვლელობის დღეს, 22 ოქტომბერს ედუარდ ემინ-ზადე და ელდარ შამუგია, რომელიც მოგვიანებით, ასევე, მოკლული იპოვეს, საკუთარი ავტომობილით თავის სახლში წაიყვანა.**

**— მას შემდეგ, რაც შამუგია სახლში არ დაბრუნდა, მეუღლე მის მოსაძებნად გამსონიას სახლში მივიდა, სადაც ედუარდ ემინ-ზადეს ცხედარი აღმოაჩინა. მოგვიანებით შამუგიაც მოკლული იპოვეს. თავად გამსონია კი გალის რაიონში უკვე აღარ იმყოფება. მას აფხაზი მილიციელები უშედეგოდ ეძებენ, — განაცხადა ინფორმირებულმა წყარომ.**

**მისივე თქმით, ედუარდ ემინ-ზადე მილიციის სამმართველოს თათბირებში მონაწილეობის მისაღებად გალში ყოველ კვირაში ჩადიოდა და ღამეს რობერტ გამსონიას სახლში ათევდა.**

ინტერპრესნიუსი

## დღეს ხვალისთვის

# იმედი მაინც ჭიატებს!

## საქართველო-რუსეთის ომი და აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების პერსპექტივები

ახლა იმის შესახებ, თუ რა მოუტანა „თავისუფლებისა და ეროვნულ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის" მებრძოლ „გმირ" აფხაზ და ოს ხალხებს რუსეთის მიერ საქართველოზე მოპოვებულმა „გამარჯვებამ". აგვისტოს მოვლენებიდან გასულმა ორმა თვემ ნათლად აჩვენა, რომ საქართველოს მიმართ განხორციელებულმა რუსულმა სამხედრო აგრესიამ, აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის" დამოუკიდებლობის აღიარების თაობაზე კრემლის მიერ მოწყობილი იაფფასიანი „დიპლომატიური ფარსის" (რომლის არავის არ სჯერა) მიუხედავად, აფხაზები და ოსები სულაც არ მიაახლოვა „ნანატრ" თავისუფლებასთან და „სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობასთან". პირიქით, რუსეთის ფედერაციის მესვეურების ამ სრულიად გაუმართლებელმა და თავისი ფორმებით უკიდურესად გამომწვევმა თავხედურმა ნაბიჯმა მთელი მსოფლიო ერთბაშად გამოაფხიზლა. ყველასათვის ცხადი გახდა, თუ ვინ იყო ნამდვილი ინსპირატორი და მთავარი სულისჩამდგმელი 1992-1993 წლებში საქართველოში მოწყობილი სეპარატისტული ამბოხებებისა და ვინ აწარმოებდა „ჯვაროსნულ" ომს ერთიანი ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ.

და, თუ ადრე, ვინმე თანაუგრძნობდა მცირე „დაჩაგრული" აფხაზი ხალხის (აგრეთვე ე.წ. „სამხრეთ ოსების") „სამართლიან" ბრძოლას რუსული „დემოკრატიის" ზოგიერთი ქურუმის მიერ „მცირე იმპერიად" შერაცხული საქართველოს წინააღმდეგ, ამჯერად სრულიად ნათელი გახდა „დამოუკიდებელი" აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთისათვის" მებრძოლთა „ისტორიული მისიის" ჭეშმარიტი არსი. განა იმაზე დიდი გულუბრყვილობა შეიძლება იყოს, რომ ყბადაღებულ „დამოუკიდებლობის აღიარებას" რეალურად მოჰყვება ახალი „დამოუკიდებელი სახელმწიფოების" ფორმირება და განმტკიცება. ეს ხომ მორიგი იმპერიული ბლეფია, რომლითაც თავიანთი მოსკოველი პატრონების მოწოდებით აბრუებენ თავიანთ თანამემამულეებს აფხაზი და ოსი ხალხების ახლადმოვლენილი ბელადები. მხოლოდ გარკვეული პათოლოგიით შეპყრობილ ადამიანს თუ შეუძლია წარმოიდგინოს, რომ ვინმე, ოდესმე, მოსკოვში დაუშვებს დამოუკიდებელი აფხაზეთის (კომიკურ „სამხრეთ ოსეთზე" რომ არაფერი ვთქვათ) არსებობას.

თუმცა არც ესაა ახალი. მაგალითად, ცნობილია, თუ როგორ აბრიყვებდნენ თავიანთ თანამემამულეებს აფხაზური სეპარატისტული მოძრაობის „სულიერი მამები" XX ს. 90-იან წლებში ანალოგიური ხასიათის ზღაპრებით. მხედველობაში მაქვს სოხუმის დღევანდელი სეპარატისტული რეჟიმის ერთ-ერთი წამყვანი იდეოლოგის, „უშიშროების საბჭოს მდივნის" სტანისლავ ლაკობას მიერ შეთხზული მითი იმის შესახებ, რომ თავის დროზე, ვ. ლენინმა თითქოს ეფრემ ეშბას აღუთქვა აფხაზეთისათვის დამოუკიდებლობის ბოძება „в случае успешного завершения „абхазской миссий" в Турций". აქ იგულისხმება ე.წ. „დიპლომატიური დავალება", რომელიც ვ. ლენინმა თითქოს მისცა ე. ეშბასა და ნ. ლაკობას თურქეთში ქემალ ათათურქის მთავრობასთან მოლაპარაკებისას. 1921 წ. 16 მარტს მოსკოვში დაიდო რუსეთ-თურქეთის ხელშეკრულება. ს. ლაკობას აზრით, თურმე, ვ. ლენინმა აფხაზეთს „დამოუკიდებლობა აჩუქა" იმ ღვაწლის გამო, რომელიც თითქოს გასწიეს ამ მოლაპარაკებების დროს ე. ეშბამ და ნ. ლაკობამ ბათუმის საკითხზე შეთანხმების მიღწევისთვის.

ანუ, აფხაზი მკვლევრის მტკიცებით, ის, რომ თურქეთის მთავრობამ უარი თქვა ბათუმსა და მის შემოგარენზე, თურმე აფხაზი ბოლშევიკი ლიდერების დამსახურება ყოფილა, რის სანაცვლოდ მათ მიეცათ უფლება გამოეცხადებინათ აფხაზეთის „დამოუკიდებლობა". ე. ი. გამოდის, რომ ვ. ლენინი ყველა გზებით ცდილობდა ბათუმის შემომტკიცებას, მაგრამ რატომღაც ამავე დროს, თმობდა აფხაზეთს. დიდი დაკვირვება არ სჭირდება იმას, რომ ამ შემთხვევაში ს. ლაკობა უბრალოდ ასულელებს მკითხველს. მას შესანიშნავად ესმის, რომ ვ. ლენინს სულაც არ აინტერესებდა აფხაზეთის „დამოუკიდებლობა". აკი თვითონვე აღნიშნავს, რომ „Ильич (იგულისხმება ვ. ლენინი – **ზ.პ.**) был одержим идеей мировой революций и мыслил не „грузиями", „абхазиями", а континентами и „азиями".

მან არ შეიძლება არ იცოდეს ისიც, რომ არა თუ ე.წ. „აფხაზეთის სსრ", რომელიც სამოკავშირეო ხელშეკრულების საფუძველზე საქართველოს სსრ-ის შემადგენელ ნაწილად აღიარეს, არამედ თვით ისეთი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების შექმნა, როგორიც იყო საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი – ოფიციალურად სუვერენული სახელმწიფოები, – რომელთა სათავეში იდგნენ **რუსეთის** კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკებისა) ცენტრალური კომიტეტისა და **რუსეთის** კპ(ბ) ცკ კავკასიის ბიუროს წევრები და წევრობის კანდიდატები, მხოლოდ პოლიტიკური თამაში და ხალხისთვის თვალში ნაცრის შეყრა იყო. ამით რუსეთის ბოლშევიკური რეჟიმი, არც მეტი, არც ნაკლები, ცდილობდა დაეფარა ამიერკავკასიის ოკუპაცია და ანექსია.

აბსოლუტურად იგივე სიტუაციაა დღესაც. რა უნდა იმის მიხვედრას, რომ მოსკოვს, ამჟამადაც მხოლოდ და მხოლოდ იმპერიის აღდგენისა და „XX საუკუნის გეოპოლიტიკური კატასტროფის – სსრ კავშირის დაშლის" (ვ. პუტინის შეფასებაა) შედეგად შექმნილი რეალობის რევიზიის დაუცხრომელი სურვილი ამოძრავებს. თანაც, ამ მიზნის მისაღწევად რუსეთის ხელისუფლებას სულაც არ სჭირდება რაიმე ახალი დიპლომატიური ფანდების გამოგონება. სრულიად საკმარისია ყბადაღებული *„მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების"* გაფორმება, რომელიც „საშუალებას აძლევს" მას „იურიდიულად დააკანონოს" რუსეთის შეიარაღებული ძალების რეგულარული ნაწილების განთავსება აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთში". ანუ კრემლი ზუსტად იმავე სცენარით მოქმედებს, რომლითაც მან 1940 წ. ბოლო მოუღო ბალტიისპირეთის (ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის) სუვერენულ სახელმწიფოებს და ეს ქვეყნები საბჭოური იმპერიის ნაწილად აქცია. ამასთან, ამჯერად, ვ. პუტინს და მის კამპანიას თავიანთ პარტნიორ სეპარატისტ ლიდერებთან ნაკლებად აქვთ საბოდიშო, ვინაიდან აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის" დამოუკიდებლობა რუსეთის მიერ მეზობელ სახელმწიფოზე მოპოვებული სამხედრო „გამარჯვების" შედეგია და არა აფხაზი და ოსი ხალხების „გმირული ბრძოლისა". სწორედ ეს აძლევს უფლებას მოსკოვს, იპარპაშოს ოკუპირებულ აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთში" და ფორსირებულად მოახდინოს ამ ტერიტორიების ანექსია. ამის ნათელი მაგალითია თუნდაც რუსული საოკუპაციო ჯარების ბოლოდროინდელი ქმედებები სამეგრელო-აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვარზე („აფხაზი მესაზღვრეების" გაძევება „სახელმწიფო" საზღვრიდან), რომლებიც სხვა არაფერია, თუ არა „მეგობარი სახელმწიფოს" – აფხაზეთის „სუვერენიტეტის" აბუჩად აგდება.



ამ ფონზე, რაც არ უნდა პარადოქსულად მოგვეჩვენოს ეს, ნამდვილად ჩნდება სავსებით საფუძვლიანი ოპტიმიზმი, რომ უახლოეს პერიოდში, საერთაშორისო ძალისხმევით, ნამდვილად მოიძებნება აფხაზეთის კონფლიქტის (ისევე როგორც ცხინვალის) მშვიდობიანი მოწესრიგებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ქმედითი მექანიზმები. რა მაქვს მხედველობაში და რატომ ვარ ასე დაჯერებული კონფლიქტების მოგვარების პერსპექტივაში?

რუსეთის „ტრიუმფულმა სვლამ" საქართველოში მთლიანად გამოააშკარავა „რუსული დათვის" იმპერიული ამბიციები და რევანშისტული განწყობილებები. გამოიკვეთა მსოფლიო მასშტაბის ახალი დაპირისპირების კონტურები. დღეს უკვე ყველასათვის ნათელია, რომ რუსეთის მხრიდან აშკარად ჩანს სერიოზული მცდელობა, ძირეულად შეცვალოს არსებული გეოპოლიტიკური ბალანსი. სწორედ ამას ვერ ურიგდება დღეს მსოფლიო თანამეგობრობა და არა იმას, რომ დიდი რუსეთი უსამართლოდ მოექცა პატარა საქართველოს.

უფრო მეტიც, ეს არის სრული დიპლომატიური კრახი, რომლის მსგავსი ძნელად თუ ახსოვს საბჭოთა კავშირის ისტორიასაც კი. თვით თავისი თავხედობით ისეთი ზღვარს გადასული აქტი, როგორიც იყო საბჭოთა ჯარების პოლონეთში შეჭრა 1939 წ. სექტემბერში არ, ყოფილა ასე ერთსულოვნად უარყოფილი მსოფლიო თანამეგობრობის მიერ.

სსრ კავშირისაგან განსხვავებით, დღევანდელ რუსეთს აშკარად არა აქვს სამხედრო-პოლიტიკური პოტენციალი, რათა გავლენა იქონიოს დანარჩენ მსოფლიოზე. ამის დემონსტრირება მოხდა თუნდაც შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის ქვეყნების ლიდერთა შეხვედრაზე და რაც მთავარია, დსთ-ის სახელმწიფოს მეთაურთა სამიტზე, როდესაც მათში მონაწილე სახელმწიფოებმა არა თუ მხარი არ დაუჭირეს მოსკოვის ავანტიურისტულ გადაწყვეტილებას აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის" დამოუკიდებლობის შესახებ, არამედ, ფაქტობრივად, ღიად დააფიქსირეს თავიანთი ნეგატიური დამოკიდებულება (ყველაზე მკაფიოდ ეს ჩინეთმა გააკეთა) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისადმი. შედეგად, დღეს რუსეთის ხელისუფლება მეტად არაკომფორტულ სიტუაციაში მოექცა.

რუსეთი საკმაოდ რთული არჩევანის წინაშე დგას. მან ან უნდა გააგრძელოს კონფრონტაციული კურსი და დაუპირისპირდეს დანარჩენ მსოფლიოს, რასაც შეიძლება მისთვის კატასტროფული შედეგები მოჰყვეს, ან კიდევ ერთხელ და სამუდამოდ ხელი აიღოს იმპერიის აღდგენის უტოპიურ გეგმაზე. სხვა გამოსავალი კრემლის ლიდერებს, უბრალოდ, არა აქვთ. სწორედ ეს გვაძლევს ოპტიმიზმის საფუძველს, როდესაც ვაცხადებთ, რომ აგვისტოს მოვლენებმა არა თუ არ დაგვაშორა, არამედ შეიძლება მიგვაახლოვა კიდეც ქვეყნის ერთიანობის აღდგენის პერსპექტივას.

დაბოლოს: არის კიდევ ერთი გარემოება, რომელიც სულ ცოტა მეტ გარკვეულობას შეიტანს აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის" გაყინული კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების პროცესში. ესაა რუსეთის ხელისუფლების გადაწყვეტილება, უარი თქვას სამშვიდობო მისიაზე კონფლიქტის ზონებში. ანუ, თუ ადრე რუსეთი მთელ მსოფლიოს მოაჩვენებდა თავს მშვიდობის ერთადერთ გარანტად, კონფლიქტის ერთ-ერთი მონაწილის მხარეზე ღია სამხედრო გამოსვლითა და რაც მთავარია, სეპარატისტული რეგიონების სუვერენულ სახელმწიფოებად აღიარებით, შემდგომ კი მათთან ე.წ. *„მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებების"* გაფორმებით (რომელთა თანახმადაც რუსეთის შეიარაღებული ნაწილები უკვე არ წარმოადგენენ სამშვიდობო ძალებს), მოსკოვმა მოიხსნა მშვიდობისმყოფელის ფუნქცია. ამიერიდან, უკვე ყველასთვის ცხადი გახდა, რომ რუსული სამხედრო კონტინგენტი არასოდეს არ წარმოადგენდა სამშვიდობო მისიას და ის აქამდე, ფაქტობრივად, სეპარატისტული რეჟიმების სასაზღვრო ჯარის ფუნქციას ასრულებდა. რასაკვირველია, ამას მსოფლიო თანამეგობრობაც მშვენივრად ხედავდა, მაგრამ, რუსეთის განაწყენების შიშით, სირაქლემას პოზაში ყოფნას ამჯობინებდა. ამის ნათელი დემონსტრირება ხდებოდა ყოველ 6 თვეში ერთხელ გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომებზე, როდესაც ეს ორგანო ერთგვარი თავმოწონებით აღიარებდა რუსეთის სამშვიდობო მისიის (გაეროს მანდატით) კეთილმყოფელ გავლენას და მწვანე შუქს უნთებდა ამ მისიის გაგრძელებას აფხაზეთში.

კრემლის ბოლოდროინდელმა გამომწვევმა ნაბიჯებმა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვითარება კარდინალურად შეცვალა. დღეს უკვე მსოფლიო თანამეგობრობა იძულებულია, სერიოზულად იფიქროს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტების მოგვარების ახალ მექანიზმებზე. სულ უფრო აქტუალური ხდება რუსული „სამშვიდობო" მისიის ჩანაცვლებისა და ახალი სამშვიდობო ფორმატის ამოქმედების აუცილებლობის იდეა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მსოფლიო თანამეგობრობის ეს მანამდე სრულიად უპრეცედენტო თანადგომა ფუჭად არ ჩაივლის და საქართველოს მალე მიეცემა სახელმწიფოებრივი ერთიანობის აღდგენის რეალური შესაძლებლობა.

**ზურაბ პაპასქირი,**
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
სოხუმის უნივერსიტეტის
სრული პროფესორი.

**დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ" № 200.**

## ინფორმაცია

### ღირს კი თბილისობის ზარ-ზეიმით აღნიშვნა?

**ოქტომბრის** ბოლო შაბათ-კვირას თბილისში ტრადიციული თბილისობის დღესასწაული აღინიშნება.

როგორც თბილისის მერიის პორტალზეა აღნიშნული, ორდღიანი თბილისობის დღესასწაული მრავალფეროვანი პროგრამით ჩატარდება.

დღეს ბამბის და რკინის რიგების, ასევე შარდენისა და სიონის ქუჩების მიმდებარე ტერიტორიებზე ტრადიციული „ხილის ფესტივალი 2008" გაიმართება. მასში მონაწილეობას მიიღებენ მიმდებარე ტერიტორიის რესტორნები და კაფე-ბარები. აღნიშნული ქუჩები ხილისგან შექმნილი ულამაზესი კომპოზიციებით გაფორმდება.

სიონის სკვერში ხილის პროდუქტების მწარმოებელი და იმპორტიორი ფირმები ფესტივალის მონაწილეებსა და სტუმრებს საკუთარ პროდუქციას წარუდგენენ და ახალ ნაწარმს შესთავაზებენ.

ფესტივალის კულმინაციად მასში გამარჯვებულის გამოვლენა იქცევა.

### ხელისუფლების დაგვიანებული ინიციატივა „ფუჭი გასროლაა"

**იმის** გათვალისწინებით, რომ რუსეთის მომავალი წლის სახელმწიფო ბიუჯეტში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეაბილიტაციისთვის თანხები უკვე გათვალისწინებულია, საქართველოს ხელისუფლების ფინანსური ინიციატივა, დონორთა მიერ გამოყოფილი თანხები ამ რეგიონების რეაბილიტაციასაც მოხმარდეს – დაგვიანებულია. ამის შესახებ ექსპერტმა ეკონომიკის საკითხებში, სოსო ცისკარიშვილმა განაცხადა..

მისი თქმით, საქართველოს ხელისუფლების აღნიშნული ინიციატივა შესაძლოა კვლავ „ფუჭი გასროლა" აღმოჩნდეს.

ქართული მხარის იდეა ჯანსაღია, მაგრამ მას უნდა ჰქონოდა წინაპირობა. როდესაც ქართული მხრიდან რაიმე ინიციატივა მოდის, მეორე მხარისთვის მოულოდნელი არ უნდა იყოს. ამის შესახებ წინასწარი მოლაპარაკებები უნდა გაიმართოს. ამდენად ვშიშობ, რომ ინიციატივაც ფუჭი „გასროლა" იქნება. ოკუპირებული ტერიტორიებიდან მას არანაირი გამოხმაურება არ მოყვება, რადგან დღეს, სეპარატისტული ხელისუფლებების ხელმძღვანელთა თავისუფლების ხარისხი გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ეს აგვისტომდე იყო, – განაცხადა ცისკარიშვილმა.

მისივე თქმით, საქართველოს ხელისუფლების ინიციატივა პოზიტიურია, მაგრამ ის საერთაშორისო თანამეგობრობის სმენის დატკბობას უფრო ისახავს მიზნად.

შეგახსენებთ. რომ საქართველოს საგარეო უწყებამ განაცხადა, რომ საქართველოს სუვერენულ ტერიტორიაში აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი შედიან, შესაბამისად, დონორთა დახმარება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე გადანაწილდება., თუმცა ამას ართულებს ის ფაქტი, რომ რეგიონები კვლავ რუსეთის საოკუპაციო ჯარების კონტროლის ქვეშ რჩებიან.

ინტერპრესნიუსი და ჯი-ეიჩ-ენი



ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №132

# „დაბრუნებული დრო და სახელები“

ქალბატონ ბაბო დადიანის საზოგადოებისთვის ცნობილ უნიკალურ იკონოთეკას, არანაკლებ მნიშვნელოვანი ხელნაწერები ახლავს. მათ შორის, მიხაკო წერეთლის, ვიქტორ ნოზაძის, ვერიკო ანჯაფარიძის, კოკი დადიანის, გიორგი შარვაშიძის და სხვ.

ამავე არქივში ინახება იმ მივიწყებულ პირთა მოგონებები თუ ფოტოები, რომელთა შესახებ ქალბატონი ბაბო დადიანი კატეგორიულად აცხადებდა: „მათი სახელები არ უნდა დაიკარგოს!“

მაგალითად „ბევრმა არც იცის, თუ ვინ იყო **ელისაბედ წერეთელი,** თუმცა მის სახელთან არის დაკავშირებული ბევრი ღირსშესანიშნავი მოვლენა XIX საუკუნის მე-2 ნახევრის საზოგადოებრივი ცხოვრებისა. მას ბევრი დიდი და კარგი საქმე გაუკეთებია თავისი სიცოცხლის მანძილზე“ – წერს ქალბატონი ბაბო დადიანი და თავის უნიკალურ იკონოთეკას არანაკლებ მნიშვნელოვან განმარტებებს და შენიშვნებს ურთავს, რომელიც ძირითადად თანამედროვეთა მოგონებებზეა დაფუძნებული.

„ელისაბედ წერეთელი იყო განუმეორებელი ენერგიით სავსე, ძლიერი ნებისყოფის, პრინციპული, ქედმოუდრეკელი, ხშირ შემთხვევაში – ამაყი, საკმაოდ მკაცრი საჭიროებისამებრ, ამავე დროს უხვად ხელგაშლილი, კეთილი, გულისხმიერი. ჩვენ გვინდა, რომ ამ შესანიშნავი ქართველი ქალის სახელი უკვალოდ არ დაიკარგოს და დარჩეს ქართველი ხალხის მეხსიერებაში“.

აი, რას მოგვითხრობს მის ოჯახში აღზრდილი, მათი ოჯახის განუყრელი წევრი, ელისაბედისთვის უსაყვარლესი **სონია ვლადიმერ წერეთლის ასული ავალიშვილისა.** სონია წერეთლის მშობლები საკმაოდ შეძლებულნი ყოფილან. ელისაბედი ამ ოჯახთან დიდი მეგობრული სიყვარულით ყოფილა დაკავშირებული. სონიას მშობლები ადრე გარდაცვლია. ობლად დარჩენილან და-ძმა. ელისაბედს ქალიშვილი ადრე მოკვდომია და ადრეც, სანამ სონიას მშობლები ცოცხალი ყოფილან, თურმე ოცნებად ჰქონია პატარა სონია ეშვილა.

სონია წერეთელმა შემდგომში მთელი თავისი სიცოცხლე ელისაბედ წერეთლის ოჯახს დაუკავშირა. სონია წერეთლის ასული ავალიშვილისა, როგორც ამ ოჯახის წევრი, უშუალო დამსწრე და მონაწილეა აქ მოთხრობილი ამბებისა. ამჯერად გთავაზობთ ერთ-ერთ ფრაგმენტს სონია წერეთელ-ავალიშვილის მოგონებებიდან, რომელიც ქვეყნდება პირველად და ვფიქრობ, გულგრილად არ დატოვებს პოეზიის მოყვარულთ.

## „გალაკტიონი – მორცხვი, მორიდებული, ფერმკრთალი ახალგაზრდა“...

ერთ-ერთ საღამოს, როდესაც ყველანი ელისაბედის ოთახში ვისხედით, მსახური შემოვიდა და მითხრა, ეტლით ქალ-ვაჟი მობრძანდნენ და თქვენი ნახვა უნდათო. გავეშურე მათკენ და შორიდანვე ვიცანი **ოლია ოკუჯავა,** რომელსაც ქიათურიდან ვიცნობდი, მოსალმების შემდეგ გამაცნო მასთან მდგომი ვაჟი **გალაქტიონ ტაბიძე,** მისი საქმრო. ჩემ წინ იდგა მაღალი, გამხდარი, ფერმკრთალი, მორცხვი, მორიდებული ახალგაზრდა, რომლის მსგავსი მორცხვი და მორიდებული ვაჟი ჯერ არ მენახა. მის ლექსებს ვიცნობდით და სიამოვნებით ვკითხულობდით, მსჯელობის საგნად იყო ქცეული. მოსულები შინ მივიწვიე. გალაქტიონი გზადაგზა თავისებური მორცხვობით მეკითხება, როგორ მოვიქცე, აუცილებლად უნდა ვაკოცო კნეინას ხელზეო? მე ვპასუხობ ალბათ თვითონ გალაქტიონმაც იცის, რომ წესად მიღებული გათხოვილ, მით უმეტეს ხანდაზმული ქალის ხელზე ამბორი, მაგრამ ვისაც არ სურს. ეს არ არის სავალდებულო; მისალმება საჭიროა თავის დახრით და მოლოდინით, მინამ ქალი გამოგიწვდის ხელს. შემოსვლისთანავე წარუდგინეს ელისაბედს სტუმარი, როდესაც გალაქტიონის გვარი გაიგონა, გაუწოდა ხელი ოლიას, შემდეგ ღიმილით გალაქტიონს, რაც მიშას დაღუპვის შემდეგ მის სახეს არ მიკარებია და მომღიმარი არავის გვინახავს. გალაქტიონის ხელის ჩამორთმევით დაკმაყოფილდა, მოსულებმა დანარჩენებს საერთო სალამი უძღვნეს, დამსწრეთა შორის **„ვარინკა წერეთელი,** „სულიკოს ავტორიც“ იყო. ოლია და გალაქტიონი ჩემმა დედობილმა თავის ახლოს დასვა, ესაუბრა, კითხვებზე უპასუხეს. შემდეგ გალაქტიონმა თავისებური მორიდებით მოუთხრო მოსვლის მიზეზი და თხოვა მას დახმარება. საკითხი ეხებოდა, როგორც მახსოვს, პეტერბურგში გამგზავრებას და ამისთვის საჭიროებდა სტიპენდია. ელისაბედმა სამი წერილი დაუწერა მას: გუბერნა-





ბაბო დადიანი მეუღლესთან – ალექსანდრე მასხარაშვილთან ერთად

# ჩომოჩი უნდა იყოს ოჯახი

## დიდი ბებიის გაკვეთილები

*„ოჯახი ადამიანის გამომჩენია, მისი კარგის მაჩვენებელია. სახლის გარეგნობაც კი თვალსაჩინოდ ჰყოფს იქ მცხოვრების ვინაობას. ჩემთვის საკმარისია თვალი გადავავლო სახლის გარეგნობას და მაშინვე მოგახსენებთ, რა თვისების კაცია მისი პატრონი... რა არის ოჯახი, ბინა? ოჯახი კაცისთვის ის პატარა ქვეყანაა, რომელსაც სავსებით მფლობელობს. თვითეულ საგანს აზის დაღი პატრონის ავ-კარგიანობისა, მისი შრომისა და მზრუნველობის. არა მარტო ჩემი ღირსების დასაცავად, არამედ ჩემი სიამოვნებისთვისაც, განუწყვეტლივ უნდა ვცდილობდე, რომ ბინა სუფთა, შნოიანი და ოჯახი მყუდრო იყოს. როგორც ყოველთვის ყოფილა საქართველოში, უწინ ქალი აფაქიზებდა გარემოს. მამაკაცთა ზნეობრივ მხარეში რაიმე მიუღებელს ფესვებში აქრობდა ისე, როგორც ქვეყნისთვის მავნებლურ უთანხმოებას, რადგან უთანხმოება ოჯახში ნიშნავს უთანხმოებას ქვეყანაში. ღირსება ოჯახში ნიშნავს ქვეყნის ღირსებას.*

ბაბო დადიანი.

* * *

***„ოჯახი ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, ჩემი ღირსების გამომხატველია –*** *ქალაქ მანჩესტერიდან ტელეფონით გვესაუბრება ბაბო დადიანის შვილთაშვილი, უკვე სამი შვილის დედა, პოპულარული მოდელი* ***სალომე ღვინიაშვილი.*** *მისი სიტყვები, ინტონაცია და აზროვნების ფორმა, რომელშიც დიდი ბებიის გაკვეთილები იგრძნობა, გვარწმუნებს, რომ ის არა მარტო გარეგნულადაა მშვენიერი –* ***„მას მერე, რაც მესამე შვილის დედა გავხდი, თანდათან ვრწმუნდები, რომ დედობრივ გრძნობებზე ძლიერი არაფერია და ოჯახი ის პატარა ქვეყანაა, რომლის მთავარი საყრდენი ურთიერთსიყვარულია... ბედნიერად ვგრძნობ თავს და არც იმაზე მწყდება გული, რომ ჩემს პროფესიას ჩამოვშორდი... ბავშვობიდან მახსოვს ჩვენთან სულ სტუმრები მოდიოდნენ, სახლი კეთილი ურთიერთობებით იყო გამთბარი... მე და ზურასაც ასევე გვიყვარს სტუმრები... მწამს, ყველაფერი კარგად იქნება, თუ კი საკუთარ ოჯახებში ვიქნებით კარგად“.***

სალომე ღვინიაშვილი



სალომე ღვინიაშვილი მეუღლესთან – ზურაბ ხიზანიშვილთან ერთად

ტორთან, ქალაქის თავკაცთან ქუთაისში – ილია ჩიქოვანთან და თუ არ ვცდები, საზოგადო მოღვაწე ზდანევიჩთან. შემდეგ მიმიხმო და წამჩურჩულა: ჩემი ჩანთიდან 25 მანეთი ამოიღე და მომიტანეო. ეს თანხა წერილებთან ერთად გალაქტიონს გადასცა და უთხრა, რომ ჯერ მას სამგზავროდ ეს თანხა ეყოფა, რომელსაც ის დაუბრუნებდა მიღებულ ჰონორარიდან. გალაქტიონმა წერილები ჩამოართვა, მაგრამ ფულს ხელი არ დააკარა, რაზედაც ელისაბედმა უთხრა, გასესხე, ხომ არ გაჩუქეო, თორემ, რა თქმა უნდა, გალაქტიონი მას არ გამოართმევდა, თანაც უთხრა, მესიამოვნა შენი გაცნობაო, მე მიყვარს ნიჭიერი ახალგაზრდობა და პატივს ვცემ მათ. მათ რიცხვს შენც ეკუთვნი და დამწუხრებულ დედას ნუ მიწყენიებ, გამომართვიო. ამის შემდეგ გალაქტიონს აღარ დარჩენოდა რა, ფული გამოერთმია და მადლობა გადაეხადა მისთვის. ჩვეულებისამებრ სტუმრებს გავუმასპინძლდით. შემდეგ ერთხანს ელისაბედი ესაუბრა მათ, სტუმრები გამოეთხოვნენ მასპინძელს და კმაყოფილნი გზას გაუდგნენ. როდესაც აივანზე ვაცილებდი, გალაქტიონმა კიდევ ეცადა დაებრუნებინა ფული ელისაბედისათვის ჩემი ხელით, რაც ვერ შევუსრულე და როდესაც ავუხსენი, თუ რა უსიამოვნებას მომაყენებდა ელისაბედი ამის გულისათვის, აღარ გაუმეორებია თხოვნა. შემდეგში, როდესაც ოლიას ჭიათურაში შევხვდი, ეცადა გადმოეცა ჩემთვის ის ფული, მაგრამ, რა თქმა უნდა, არავითარ შემთხვევაში არ ვიკისრე. ძალიან კმაყოფილი დარჩა ელისაბედი გალაქტიონის გაცნობით, მისი სიტყვა-პასუხით, ლექსები ხომ წაკითხული ჰქონდა და ამბობდა, რომ მაგის ნიჭი არ დაიმალება, ჯერ ახალგაზრდაა, მაგრამ მალე თავს იჩენსო, ტაბიძის სახით კარგი პოეტი გვეყოლებაო. გალაქტიონის გაცნობამ ცოტათი გამოაცოცხლა ელისაბედი, ხოლო მისი წინასწარმეტყველება გამართლდა...

*(სტილი და ორთოგრაფია დაცულია, მათ შორის, გალაკტიონის სახელის ტრანსკრიფცია „გალაქტიონი“)*


გალაკტიონის პირველი მეცენატი ელისაბედ წერეთელი, შვილ პეტრე წერეთელთან ერთად


გალაკტიონი

## პოეზია

ჯემალ ჩახავა

# ბედის ბეჭდიტუდა,

### ანუ დიალოგი საკუთარ თავთან



დღეიდან ვიწყებ განმარტოებას,
სხვა არაფერი ახლა არ მინდა
და ვიწყებ ამ ჩემს მცირე პოემას
ჩემი პატარა თავშესაფრიდან.

მამულზე ფიქრი ვერ მოვიცილე,
რა ვქნა, ასეა, უკვე ვბერდები,
უნდა ვებრძოლო ქარის წისქვილებს
ჩემი პატარა შემოქმედებით.

მე დავრჩი მარტო – ასე დაღლილი,
წავიდა ბევრი, მიყვარდა ვინაც,
ბედის წინაშე ვარ თავდახრილი
და მოგონებებს ღრმა ძილით სძინავს.

ვარ ყველასაგან მიუსაფარი
და ავსებული ცრემლით, დარდებად,
ცხოვრება ჩემი არის ზღაპარი,
ნეტავი იგი რით დამთავრდება?!

დაწყვეტილია ჩანგის სიმები,
ო, ეს ცხოვრება რარიგ ცივია
და მქონდა ქვეყნად ვისი იმედიც,
განზე გამდგარან და დამცინიან.

პოეტებს ეხლა ქვებსაც უშენენ
და მეც აქ, აბა, როგორ მეხარა?!.
ღმერთო, მაღალო, უნდა უშველო
მუხლზე დაცემულ ლამაზ ქვეყანას.

ძნელია სულში დარდის ტარება,
კალამი ჩემი, თუმცა, მენდობა,
სტრიქონში ხშირად გამეპარება
იმედიცა და უიმედობაც.

ვბერდები, უკვე გადავცდი სამოცს
და კარგად ვიცი თვითონაც, რაც მსურს,
ვეღარ ჩავიცვამ მასხარის სამოსს,
ბევრი კარგი დღე ჩაბარდა წარსულს.

ეს ჩემი ჩანგიც ტკივილით კვნესის
და ვეღარ ვიმკი, რაც მითესია,
კარგი, თუ ძმა ხარ, ვის უნდა ლექსი,
სასაცილოა დღეს პოეზია...

ჩემი ცხოვრება გამაქვს კბილებით,
ჩემი ბედია, რა ვუყოთ, ესეც,
მრცხვენია ჩემი შვილიშვილების
და ტკივილები გამომაქვს მზეზე.

დღეები რბიან ისევ უცვლელად,
მაგრამ კი შემრჩა მაინც ზრდილობა,
ბევრი მავანი და ღორმუცელა
დამცინის, ალბათ, სასაცილო ვარ.

ვხედავ, იმარჯვებს არარაობა,
სხვანაირია რიგიც და წესიც...
რაში ჭირდებათ ჩემი თაობა,
როდესაც ჩვენი არავის ესმის.

უნიჭოების გაჩაღდა დოღი,
დავიწყებულა ბევრი სიკეთე,
სწავლული კაცი ბარით და თოხით,
ო, რა ლამაზად გამოიკვეთა.

გაყიდა დედის ნაქონი ჯვარი,
მამის ხანჯალი და დის საყურე,
აბა, ვსვათ, ძმებო, ღვინის წილ ძმარი,
მივიღეთ, რაიც დავიმსახურეთ.

ციურ მანანას არ მოგვცემს ღმერთი,
უნამუსობა ქარივით დაჰქრის,
გაგვიწყრა ქვეყნად ეს ერთადერთიც,
სიტყვით რომ გვწამს და არა საქმით.

მაშ რა ვქნათ, აბა?! შენ მეტყვი ამას
და მეც პასუხი არა მაქვს სრული,
რაღა ფასი აქვს ჩემს სიტყვებს ლამაზს,
მეც ხომ შენსავით ვარ დაზაფრული.

მეც ხომ შენსავით დავდივარ უქმად,
მეც ხომ შენსავით მტკივა, მწყურია,
მას გაშლილი აქვს ლამაზი სუფრა
და მაინც ბედის უმადურია.

გზაჯვარედინზე დგას მათხოვარი,
დედით და მამით, იგი ქართველი
და ფიქრობს მისთვის, უკვე დრო არის,
რომ მოეფინოს ბნელსა ნათელი.

ოცნება რჩება მაინც ოცნებად,
დღეს ქვის ნაყვაა ფასი ოცნების,
გროშიც არა ღირს პატიოსნება,
ჩვენ ყველანი ვართ ამის მომსწრენი.

როგორ ითმენდი ამდენ გასაჭირს,
ჩემო ქართველო გმირო, საბრალოვ,
ჩვენი ბრალია, ეხლა რაცა გვჭირს,
ან იქნებ ვინმეს სხვას დავაბრალოთ.

„თქვენი ბრალია“, – მესმის ზეციდან
ხმა უცნაური და საოცარი,
ცოდვათა გამო უნდა გვეზიდა
ეგ ტვირთი მძიმე ყოვლად მოწყალის.

ჩვენივე ხელით მოვკალით ვისაც
ერის ტკივილი აჩნდა ტკივილად,
არ მივიჩნიეთ მეფობის ღირსად,
თუნდაც მამალმა სამჯერ იყივლა...

ძალიან მაგრად ნუ გაახურებთ,
ხედავთ, ქართველნი როგორ გმონებენ,
ამქვეყნად რასაც დაიმსახურებთ,
იმქვეყნად იმას გაგაყოლებენ.

და მერე ნახეთ კრეჭა კბილების,
ვერას გააწყობთ ცრემლით, ვედრებით,
ამ ცოდვიანი მიწის შვილები
ღმერთის სასწორზე როცა შედგებით.

მაგრამ დღეს ჩემი არავის ესმის
და მეც სიმძიმეს ხელი შევუშვი,
ჩაბუდებულა ზიზღი და გესლი
ამ ჩემი ქვეყნის ლამაზ სხეულში.

ბევრი გაუხდა მონად დროებას,
ძნელია ახლა მათი მორევა,
თბილისი იქცა კაზინოებად,
კაფე-ბარებად და რესტორნებად.

მრავალ მათხოვარს შეხვდები გზაში,
მათი დანახვა არის იოლი,
„ქალაქში, მტვერში წაიქცა ბავშვი“,
როგორც ამბობდა გალაკტიონი.

შეჩერდა ჩვენი ბედის წამზომი,
არაფრისაგან ველით არაფერს...
წინათ ქართველნი ძვირად ვფასობდით,
დღეს ვეღარ ვუძლებთ ამდენ ბარაბებს.

იქნებ დროებით ღმერთმა ჰქნას ასე,
მიიზლაზნება დღეები ძნელად,
მე ყოველ დილით ვკითხულობ გაზეთს
და არსაიდან არ არის შველა.

ყურში ჩამესმის მწარე ფრაზები,
ვეღარ ვიოკებ სიბრაზეს ახლაც,
„დუმა“ სავსეა მატრაბაზებით
და ვიღაც კახპაც საქვეყნოდ გვლანძღავს.

ჩვენი ბედია, ქართველნო, ესეც,
მაგრამ სხვა არის საქმეც და სიტყვაც,
მე ვეფერები პუშკინის ლექსებს
და კარგი რუსი ძალიან მიყვარს.

არაფერი სჯობს ცოდვას გამხელილს
და მტკივა რაღაც მე ისევ გულში,
შორს გავარდნილი დიდი სახელით,
ქართველი იყო, პირველი რუსი...

მე რასაც ვამბობ, შენ იცი, მენდე,
საღათას ძილი არ მოგერიოს,
დასაწყისიდან, დღევანდელ დღემდე
ვჩუქნიდით რუსეთს ერთ-ორ გენიოსს.

და როს მოვიდა დროი რევანშის,
უმადურობამ როცა იხარა,
„მოსკვა რეკა“-ში, მერე ნევაში,
ნაღვაწი მათი გადაიყარა.

ვეება ტვირთი, ზურგზე რომ მაწევს,
შენ უნდა მითხრა, ნუღარ ითმენო,
რომ სიყვარულზე არაფერს არ ვწერ,
გთხოვთ, მაპატიო, ჩემო მკითხველო.

ვწერ ამ პოემას, განა უგულოდ?!
ღამეს ვათენებ, ძალიან მიჭირს,
ეჰ, სად ვიპოვო, ნაზო ბულბულო,
ბარათაშვილის ვეება ნიჭი.

არ შეიცვლება ჩემი ბუნება,
სიმართლის თქმაა ჩემი ნუგეში

ნეტავი, რაღა მებულბულება
ამ უსირცხვილო საუკუნეში.

ვეღარ ვიკავებ ცრემლებს მოდენილს,
ფიქრიც შევწყვიტე ჩემი, დროებით,
დახლებზე გაჩნდა ჰარი პოტერი –
ეს სატანური ნაწარმოები.

დედის რძესავით რაიც ტკბილია,
იკითხე იგი, ნუღარ მოსცდებით,
ვაჟა, აკაკი, ბრძენი ილია
და ყველა ჩვენი დიდი მგოსნები.

ტყეში ბღავილი ისმის ირმების,
ფრთები გაშალა არარაობამ...
სექსუალური დიდი ფილმებით
ვართობთ და ვღუპავთ ლამაზ თაობას.

უნდა გვიშველოს ალღომ და ნიჭმა,
ამას მიხვედრა არ უნდა დიდი,
რაა მთაწმინდა, არ იცის ბიჭმა
და იმ გოგონამ, გზაზე რომ მიდის.

ცუდი და კარგი უნდა ავწონოთ,
არას გვიშველის მწუხარე მოთქმა,
ქართველები ვართ, ჩემო ბატონო,
დავითისა და რუსთველის მოდგმა.

ჩვენ ქართველობას რახან არ ვიშლით,
ვებრძვით ზღაპარში, რადგან ტიტანებს,
მე ამ პოემის ბოლო ნაწილში
ცოტა ლირიზმი შემოვიტანე.

ახალგაზრდებო, უნდა იცოდეთ,
თქვენ გელოდებათ ზღვა სიხარული,
უსიყვარულოდ არ ღირს სიცოცხლე,
უსიყვარულოდ რაა მამული?!

არ დაგინახოთ მე თავდახრილი,
თქვენ-თქვენი საქმით უნდა ფასობდეთ,
წინაპართაგან სისხლი დაღვრილი,
კუბოს კარამდე უნდა გახსოვდეს.

ძნელია ჩვენი გზები სავალი,
ამას არ უნდა ბევრი ძიება,
რადგან მტერი გვყავს ასე მრავალი,
უნდა ვიცოდეთ შურისძიებაც.

გათენებისას ჭახჭახებს შაშვი –
ქართული ბაღის ხშირი სტუმარი,
სადღაც ატირდა პატარა ბავშვი,
იღვიძებს ისევ აზრი მდუმარი.

ნიჭო ქართულო, სისხლო ხნიერო,
აღმაშენებლის ძარღვში ნამყოფო,
კვლავაც იქნება, მჯერა ძლიერი
უსაყვარლესი ჩვენი სამშობლო.

უნდა ვიფიქროთ ჩვენ ისევ დიდხანს,
დაწყნარებულად წესით და რიგით,
რა არის, ნეტავ, ყველაფრის მიღმა,
რა არის, ნეტავ, ყველაფრის იქით?!

ქეიბურივით ლექსი იწივლებს,
ლექსი, ეს ჩემი ღია ბარათი...
ერთად ვებრძოლოთ ქარის წისქვილებს
და ამ ბრძოლაში გავჭაღარავდეთ.

მოვა დრო იგი, მე ვფიქრობ ასე,
არ გვიძებნია რადგან დიდება,
ერთ მშვენიერ დღეს სამშობლოს ცაზე
ჩვენი ვარსკვლავიც გამობრწყინდება.

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველოში დევნილებისთვის საცხოვრებლებს აგებენ, მაგრამ მათ თავიანთ სახლებში უნდათ

**აგვისტოს ომიდან ორი თვის შემდეგ საქართველოს ლიდერები ქველებურად ინარჩუნებენ რწმენას, რომ სეპარატისტული ანკლავები დაბრუნდებიან ქვეყნის შემადგენლობაში.** ისინი აშენებენ აგრეთვე 7 ათას სახლს, რომლებიც ზამთარში გამოადგებათ



ლტოლვილებს, რომლებსაც არ შეუძლიათ დაუბრუნდნენ ძველ საცხოვრებელ ადგილებს. ამ კატეგორიას განეკუთვნება დაახლოებით 31 ათასი კაცი. პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილი ყველა მათგანს დაჰპირდა სახლებს 15 დეკემბრისთვის. მშენებლობის ტემპმა მოხიბლა საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციების მუშაკები.

მაგრამ მშენებლებს, რომელთაგან ბევრი თავად ლტოლვილია, აღელვებს საკითხი, თუ რამდენ ხანს მოუწევთ მათ თავიანთ აგებულ სახლებში ცხოვრება. ისინი ითვლიან თვეებს და არა წლებს.

„ჩვენ დავბრუნდებით, როცა რუსები წავლენ. ეს მოხდება, როდესაც შევალთ ნატოში“, – ამბობს 40 წლის მაჰმუდ აკათოური. მან დაკარგა 11 სული პირუტყვი და 15 ფუტკრის სკა, როდესაც რუსები შეიჭრნენ სამხრეთ ოსეთში. სადგომი პირუტყვისთვის, რომელიც მანააშენა თავის დროზე, ისეთივე იყო, როგორიც ახალი სახლებია.

ზაქრო კვიციანძე მეზობელი სამშენებლო მოედნიდან ფიქრობს ანალოგიურად: „ჩვენ მოგვწონს დიდი სახლები. ახლა კი მოგვიწევს ცხოვრება პატარებში“.

სხვა სახელმწიფოთა საგანგებო პროგრამებთან შედარებით – გახსენდება ქარიშხალი „კატრინა“ ამერიკის შეერთებულ შტატებში – საქართველოში მიმდინარე სამშენებლო პროგრამა ხორციელდება სწრაფად და ბიუროკრატიული გაჭიანურების გარეშე. ადგილობრივი სამშენებლო ბრიგადები იტყობინებიან, რომ მიიღებენ თითოეული 350 ლარს თითოეულ სახლზე, რომელიც შეესაბამება სახელმწიფოს მოთხოვნებს. ისინი ჩქარობენ მშენებლობის დამთავრებას და ზოგიერთი მათგანი მთელი ღამის განმავლობაშიც კი მუშაობს.

საქართველოში ლტოლვილთა საქმის გაეროს უმაღლესი კომისრის წარმომადგენელი პიტერ ნიკალაუსი ამ ნაბიჯს უწოდებს „ძალიან სწრაფსა და გადამწყვეტს“. ის უკმაყოფილო იყო მხოლოდ იმით, რომ საქართველოს ხელისუფლებამ არავის აცნობა თავისი ძალისხმევის შესახებ ჰუმანიტარულ საქმიანობაში. „მე გაოცებული ვარ, – განაცხადა მან. – გავიგე, რომ მშენებლობა უკვე მიმდინარეობს და თითქმის დამთავრდა. ჩვენ კი არავინ არაფერი გვაცნობა“.

ამ ლტოლვილებთან ურთიერთობა არ ჰგავს იმას, რასაც აფხაზეთიდან დევნილი ასეული ათასობით ლტოლვილი განიცდიდა 15 წლის წინათ, ნათქვამია სტატიაში. დაახლოებით 220 ათასმა კაცმა დატოვა აფხაზეთი 1990 წლის დასაწყისის ომის შემდეგ. მაშინ მთავრობას თბილისში სათავეში ედგა ედუარდ შევარდნაძე. ამჟამად ამ ხალხის 45 პროცენტი სასტუმროებსა და საერთო საცხოვრებელში ცხოვრობს.

ბრიუსელში პრესკონფერენციაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ლადო გურგენიძემ განაცხადა, რომ საქართველო დახარჯავს დაახლოებით 700 მილიონ დოლარს როგორც ძველი, ისე ახალი ომის შედეგად დევნილი მოსახლეობის ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად. მან დაუმატა, რომ ეს სახსრები გამოყოფილი იქნება იმ 4,5 მილიარდი დოლარის საერთაშორისო დახმარებიდან, რასაც ჰპირდებიან საქართველოს ომის შემდგომი აღორძინებისთვის.

The New York Times

# „რეჟიმის არავითარი განმტკიცება“

**საქართველოს ოპოზიციის 6 ლიდერი, მათ შორის სალომე ზურაბიშვილი – საქართველოს ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი, პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე და პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატი ლევან გაჩეჩილაძე ღია წერილით მიმართავენ კონფერენციის მონაწილეებს, რომლითაც ითხოვენ საქართველოს დახმარება დაუკავშირონ „ეფექტიანი მექანიზმის“ შექმნას ქვეყნის დემოკრატიზაციის საქმეში.** ოპოზიციონერი პოლიტიკოსები წერენ, რომ „რუსეთის უკანონო ინტერვენცია საქართველოში ისევ დაუშვებელია“, მაგრამ ისინი აგრეთვე იძულებული არიან აღიარონ საქართველოს მთავრობის პასუხისმგებლობაც, რომელიც აჰყვა რუსეთის პროვოკაციას და სამხრეთ ოსეთზე თავდასხმით მოსკოვს მისცა საბაბი სამხედრო აგრესიისთვის. მომხდარის მიზეზი – ეს არის საქართველოში დემოკრატიის უკმარისობა, მიაჩნიათ მათ.

ახლა ქართულ ოპოზიციას სურს, რომ დახმარებამ არავითარ შემთხვევაში არ შეუწყოს ხელი „რეჟიმის განმტკიცებას“. მან, კერძოდ, უნდა უზრუნველყოს პრესის თავისუფლება, დამოუკიდებელი იუსტიციის შექმნა და საარჩევნო სისტემის რეფორმა. მაგრამ, უწინარეს ყოვლისა, როგორც ოპოზიციონერებს მიაჩნიათ, საჭიროა ევროკავშირის მკაცრი კონტროლი საქართველოს ხელისუფლების ორგანოებზე. როგორც მიაჩნიათ, ამ მოთხოვნებმა დასავლეთში გამოხმაურება ჰპოვა. დასავლელი დიპლომატები ომის დამთავრების შემდეგ მალე მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ კონფლიქტის ესკალაციის მიზეზი საქართველოს სახელმწიფოს სტრუქტურული სისუსტეა – მაშინვე ომისშემდგომი სტაბილიზაციის პირველი რიგის ამოცანებად მათ დაასახელეს სახელმწიფო მართვის თანამედროვე სტრუქტურის შექმნა.

2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, რომელსაც სათავეში ედგა სააკაშვილი, საქართველოს სახელმწიფომ დიდ წარმატებებს მიაღწია, მაგრამ ახლა არსებობს იმის საშიშროება, რომ დაიკარგოს ყოველივე, რაც მიღწეული იქნა. მით უმეტეს ქვეყანაში არსებობს ეჭვი, რომ საქართველოს ადმინისტრაციას დღევანდელი მდგომარეობით არ შეუძლია ზუსტად გაანაწილოს დიდი ფულადი დახმარება.

ამ დროს დაპირისპირება ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის საქართველოში კვლავ გამწვავდა. ოპოზიციას მიაჩნია, რომ პრეზიდენტის მიერ მისი მისამართით წაყენებული წინადადებანი „მიზნად ისახავდნენ მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ხელისუფლების განმტკიცებას“, – ნათქვამია სტატიაში.

**რეინჰარდ ფეზერი**

Frankfurter Allgemeine

# რუსეთი და საქართველო ერთმანეთს მილიტარიზაციაში სდებენ ბრალს

**საქართველო შეშფოთებულია სამხრეთ ოსეთში რუსი სამხედროების ზრდით. თუმცა მოსკოვი უარყოფს ამ მტკიცებას და თავის მხრივ საუბრობს საქართველოს მილიტარიზაციის საშიშროების შესახებ.**

დაძაბულობა კონფლიქტის ზონაში გაამწვავა თვითგამოცხადებული აფხაზეთის სამხედრო დაზვერვის უფროსის ედუარდ ემინ-ზადეს მკვლელობამ გალში.

„ჩვენი მონაცემებით, რუსეთის ჯარების რიცხოვნობა სამხრეთ ოსეთში გაიზარდა 7 ათას სამხედრო მოსამსახურემდე, რაც ჩვენს შეშფოთებას იწვევს“, – განაცხადა თბილისში ბრიფინგზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა შოთა უტიაშვილმა.

ადრე რუსეთის წარმომადგენლები აცხადებდნენ იმის შესახებ, რომ სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში განათავსებენ 3700-3800 ჯარისკაცსა და ოფიცერს.

უტიაშვილის თქმით, რუსეთის 2 ათასი სამხედრო მოსამსახურე ჩამოვიდა რეგიონში უკანასკნელი კვირის განმავლობაში. მან განაცხადა, რომ „ახალი კონტინგენტი განთავსდა ძირითადად ჯავის რაიონის ტერიტორიაზე“. ამას გარდა „ორი დღის წინათ დაახლოებით 40-მდე მძიმე სამხედრო ტექნიკა ცხინვალიდან გადაიყვანეს ახალგორის რაიონში, ამ ტექნიკას, თან ახლდა რუსეთის რამდენიმე ასეული სამხედრო მოსამსახურე და ოთხი საბრძოლო შვეულმფრენი“.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი იმავე დღეს გამოვიდა ამ ფაქტების უარყოფით. მისი სიტყვებით, ადრე დასახელებული ციფრები 3700 სამხედრო მოსამსახურე თითოეული რესპუბლიკისთვის ძალაში რჩება და „რაიმე წარმოდგენები ამ ციფრებთან დაკავშირებით სულაც არ შეესაბამება სინამდვილეს“.

რუსეთის თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა პოლკოვნიკმა ალექსანდ დროზიშევსკიმ უტიაშვილის გამოსვლას უწოდა „მორიგი საინფორმაციო პროვოკაცია რეგიონში დაძაბულობის შენარჩუნების მიზნით“.

თავის მხრივ, მოსკოვმა ბრალი დასდო თბილისს სამხედრო მომზადების ესკალაციაში. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ანონიმურმა წყარომ ინტერფაქსის სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში მოუწოდა საქართველოს დონორ ქვეყნებს დააწესონ გამოყოფილი სახსრების გამოყენების ეფექტიანი კონტროლი, რათა ეს სახსრები არ დაიხარჯოს შეიარაღების შესაძენად.

ლავროვმა თავის ლატვიელ კოლეგა მარის რიეკსტინშთან ერთობლივ პრესკორნფერენციაზე (რეიკსტინში მოსკოვში იმყოფებაძ აღნიშა, რომ „ქართული მხარე პერიოდულად აგზავნის სპეცნაზელებსა და სხვა შეიარაღებულ ფორმირებებს ზონებში, რომლებიც ესაზღვრებიან სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთს“.

BBC RUSSIAN.com

**პიროვნება**

***დღეს, როცა უდავოა ელინოლოგიის სკოლის მიღწევების მნიშვნელოვანი საერთაშორისო აღიარება და 1997 წლიდან ნაყოფიერად მუშაობს მდიდარი ტრადიციების მქონე, კლასიკური ფილოლოგიის კათედრის ბაზაზე დაარსებული (აკადემიკოს როინ მეტრეველის მხარდაჭერით) თსუ კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი ცნობილი ქართველი მეცნიერის პროფესორ რისმაგ გორდეზიანის ხელმძღვანელობით, მომავალი თაობები მადლიერების გრძნობით მოიხსენიებენ წინამორბედებს...***

***საქართველოში კლასიკური ფილოლოგიის განვითარება განსაკუთრებულად რამდენიმე თვალსაჩინო მეცნიერისა და მოღვაწის სახელს უკავშირდება. ერთ-ერთი მათგანია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე აკაკი ვლადიმერის ძე ურუშაძე.***

# ეროვნული კულტურისა და მეცნიერების ერთგული მსახური

## აკაკი ურუშაძის დაბადების 90 წლის გამო

დაიბადა 1918 წლის 27 ოქტომბერს თბილისში, პოლიგრაფისტის ოჯახში. 1936 წლიდან სწავლობდა ჯერ თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტში, შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1940 წელს. 1946 წელს დაიცვა დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: „აპოლონიოს როდოსელი და მისი არგონავტიკა“. დისერტაცია ცალკე წიგნად გამოიცა 1948 წელს. 1964 წელს აკ. ურუშაძემ დაიცვა დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე „ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში“, რომელიც ასევე ცალკე წიგნად გამოიცა.

1943 წლიდან ბატონი აკაკი მუშაობდა თსუ კლასიკური ფილოლოგიის კათედრაზე ჯერ ასისტენტად, შემდეგ დოცენტად, პროფესორად, ხოლო 1968 წლის აპრილიდან გარდაცვალებამდე (1988წ. ამავე კათედრის გამგედ.

1943-1950 წლებში აკაკი ურუშაძე შეთავსებით მუშაობდა გორკის სახელობის სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ჯერ ლექტორად, ხოლო 1947 წლიდან – მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგედ.

1964 წლიდან 1973 წლამდე ბატონი აკაკი იყო ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი, ასევე, თსუ ლიტერატურათმცოდნეობის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე. პროფესორი აკ. ურუშაძე წლების განმავლობაში თავმჯდომარეობდა სპეციალიზებულ სამეცნიერო საბჭოს კლასიკური ფილოლოგიის განხრით. ბატონმა აკაკიმ ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ქართველოლოგიის კარდინალური პრობლემების შესწავლაში. ფართო და მრავალფეროვანია აკ. ურუშაძის მეცნიერული კვლევის პრობლემატიკა: ანტიკური ხანის ავტორთა ცნობები საქართველოს შესახებ, ბერძნულ-რომაული ლიტერატურა და მითოლოგია, ბერძნული ენათმეცნიერების საკითხები, ანტიკური ეპოქის ავტორთა თარგმნა და გამოცემა, ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობანი.

უაღრესად საგულისხმოა აკ. ურუშაძის მიერ მომზადებული და გამოცემული სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სახელმძღვანელოების მნიშვნელობა. მან შეავსო და განავრცო ივ. ნიჟარაძის ძველი ბერძნული ენა და მეორედ გამოსცა. იგი ყოველთვის დიდი გულისხმიერებით ეკიდებოდა ახალგაზრდა კადრების აღზრდის საქმეს.

1972 წელს უნივერსიტეტის რექტორის, აკადემიკოს ილია ვეკუას დროს უნივერსიტეტში შეიქმნა „ბერძნულ-ლათინური ბიბლიოთეკა“, რომლის პირველი თავმჯდომარე და მთავარი რედაქტორი აკაკი ურუშაძე იყო. ითარგმნა და გამოიცა არაერთი ბერძენი და რომაელი ავტორის წიგნი. მათ შორის მრავალს ბატონი აკაკი რედაქტორობდა.

1971 წელს აკ. ურუშაძე აირჩიეს ვინკელმანის სახელობის საერთაშორისო საზოგადოების წევრად. იგი სისტემატურად მონაწილეობდა საკავშირო და საერთაშორისო სიმპოზიუმებსა და სამეცნიერო კონფერენციებში.

უაღრესად მნიშვნელოვანია აკაკი ურუშაძის მიერ აპოლონიოს როდოსელის (ძვ. წ. III ს.ძ პოემის „არგონავტიკის“ პირველი ქართული თარგმანის შესრულე-



ბა და გამოცემა. 1949 წელს ამ შრომას უნივერსიტეტის პრემია მიენიჭა. 1964 წელს აკ. ურუშაძემ გამოსცა ფუნდამენტური შრომა „ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში“, გამოკვლევა, ბერძნული ტექსტები ქართული თარგმანითა და შენიშვნებით.

„არგონავტიკის“ პირველი ქართული თარგმანი, რომელიც აკაკი ურუშაძემ შეასრულა, როგორც აღვნიშნეთ, 1949 წელს გამოიცა ბერძნული ტექსტის დაურთველად. შემდგომში, 1970 წელს ბატონმა აკაკიმ ბერძნული ტექსტი ქართული თაგმანითურთ გამოსცა, შესავალი, კომენტარები და საძიებელი დაურთო. ეპიკური საზომით, დაქტილური ჰექსამეტრით გამართული „არგონავტიკა“ მან პროზაულად თარგმნა.

ამ წიგნის მნიშვნელობა განისაზღვრება იმით, რომ აკ. ურუშაძის მიერ თარგმნილი თხზულება კოლხეთთან დაკავშირებული თქმულების საფუძველზეა აგებული და მრავალ მნიშვნელოვან ცნობას შეიცავს ძველ ქართველ ტომთა და მათ სამკვიდრებელ ადგილთა შესახებ.

ის, რომ აკაკი ურუშაძეს ხელეწიფებოდა მხატვრული თარგმანი, ამის დასტურია ორიგინალიდან ბრწყინვალედ გადმოქართულებული პლუტარქეს „რჩეული ბიოგრაფიები“. ბერძნული პროზაული მწერლობის ამ უაღრესად პოპულარული ძეგლის პირველი თარგმანი ორიგინალიდან სწორედ აკაკი ურუშაძეს ეკუთვნის.

აკაკი ურუშაძემ თარგმნა აგრეთვე ჰორაციუსის „პოეტიკა“, 1987 წელს გამოსცა ლათინური ხატოვანი სიტყვა-თქმანი, ქართული შესატყვისებით.

აკაკი ურუშაძე დიდი გულმოდგინებით აზიარებდა სტუდენტობას კლასიკურ სამყაროს. განსაკუთრებით დიდია მის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოების მნიშვნელობა. 1969 წელს გამოვიდა „ძველი ბერძნული ენა“. თბილისის უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს 1971 წლის 29 მარტის დადგენილებით, უნივერსიტეტის სამეცნიერო პრემია მიენიჭა ამ სახელმძღვანელოს. 1987 წელს წიგნი მეორედ გამოიცა. იგი დღესაც ერთ-ერთი ძირითადი სახელმძღვანელოა ჩვენი განყოფილების სტუდენტებისთვის.

„ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში“ შესულია აკ. ურუშაძის 80-მდე სტატია.

ბატონი აკაკი ყოველმხრივ ცდილობდა გაენმტკიცებინა თბილისის უნივერსიტეტის კონტაქტები სხვადასხვა უნივერსიტეტთან. იგი მონდომებით წარმართავდა სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების საქმიანობას. მისი ხელმძღვანელობით არაერთი საკვალიფიკაციო ნაშრომი მომზადდა, მათ შორის ჩვენიც.

მეცნიერს მრავალი საინტერესო ჩანაფიქრი ჰქონდა, ჩქარობდა მათ განხორციელებას, ხორცშესხმას, მაგრამ მძიმე სენით შეპყრობილს, აღარ დასცალდა, მაგრამ, რაც დარჩა, მეტად ფასეულია.

დიდია აკაკი ურუშაძის ღვაწლი ეროვნული მეცნიერების განვითარებისა და ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში. ამიტომაც სარგებლობდა მეცნიერი და პედაგოგი სტუდენტებისა და კოლეგების სიყვარულითა და პატივისცემით.

ბატონი აკაკი იყო მზრუნველი, გულისხმიერი მეუღლე, მამა და ბაბუა. იგი ყოველთვის მადლიერი იყო თავისი ცხოვრების მეგობრით, ქალბატონი ელენეთი, პატივს სცემდა ნამდვილი ადამიანური თანადგომისთვის.

აკაკი ურუშაძემ დიდებულად იმემკვიდრა თავისი მასწავლებლებისგან, ჩვენი უნივერსიტეტის საძირკველჩამყრელთაგან ისეთი თვისებები, როგორიცაა კეთილსინდისიერი ცხოვრება-მოღვაწეობა, თავმდაბლობა, ეროვნული კულტურისა და მეცნიერების ერთგული სამსახური.

ამიტომაც მას ყოველთვის მადლიერების გრძნობით გავიხსენებთ. ჩემთვის, მისი ერთ-ერთი მადლიერი მოწაფისთვის, და არა მარტო ჩემთვის, ბატონი აკაკი ურუშაძე იმ ყაიდის პიროვნება იყო, რომლის მსგავსის შესახებ ჩვენი დიდი წინაპარი ასე იტყოდა: **„იგი საქმობდა, ირჯებოდა, მხნეობდა, თავის პატარა ქვეყნისათვის და არა ჰყვიროდა-კი ამას დაფითა და ნაღარითა. იგი არ ეძებდა სხვის ქებასა და დიდებას. იგი ნიაღვარს კი არა ჰგვანდა „მღელვარეს, კლდესა მცემელსა“, იგი „მდუმარედ წვიმისაებრ ნაყოფის გამომცემელი“ იყო, და სწორედ ამისთანა კაცია მართლა ღირსი ქებისა და დიდებისა, იმიტომ, რომ „მარტო ცუდ-მედიდობა ეძებს სხვის ქებას და ჭეშმარიტი საქმიანობა კი – ჩემს მოწმობას სინიდისისას“...**

**ვალერი ასათიანი,**
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

# განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

**ქუთაისის საგადასახადო ინსპექცია 2008 წლის 10 ნოემბერს 11 საათზე, ქუთაისში, რუსთაველის №1-ში (ქუთაისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) შენობაში) შპს ტყიბულის მეფრინველეობის ფაბრიკა „ახალსოფლის“ ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის მიზნით ატარებს აუქციონს.**

**სარეალიზაციოდ გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:**

1. კანტორის შენობა, კაპიტალური, ორსართულიანი, შლაბლოკის, ზომა 12,15X10,4კვმ. დახურულია შიფერით, სარემონტოა, შეფასებულია 5000 ლარად,
2. სან. გამშვების შენობა, კაპიტალური, ერთსართულიანი, ზომით 37,5X12კვმ, კედლები ჩამოშლილია, შესაძლებელია აგურის და „პეკაქების“ გამოყენება, შეფასებულია 650 ლარად,
3. კვერცხის საწყობი, აგურის ერთსართულიანი შენობა, ზომით 15,5X12,4კვმ, დახურვა „პეკაქის“, აღსადგენია, შეფასებულია 1200 ლარად,
4. საქლორატო, შენობა დახურული „პეკაქით“, ზომით 4X3კვმ. შეფასებულია 100 ლარად,
5. საყარაულო ჯიხური, კაპიტალური აგურის შენობა, დახურვა შიფერის, ზომა 2,55X2,75კვმ. შეფასებულია 250 ლარად,
6. სატრანსფორმატორო, კაპიტალური, აგურის შენობა, დახურული სიმკარით, ზომა 10X5,75კვმ. შეფასებულია 1000 ლარად,
7. ინკუბატორის შენობა, კაპიტალური, დანგრეულია დიდთოვლობის გამო, ზომა 18,55X12კვმ, შეიძლება გამოყენებული იქნეს აგური, „პეკაქი“, რკინაბეტონის კოჭი, შეფასებულია 1000 ლარად,
8. შენობის ვეტ. ბლოკი, კაპიტალური აგურის შენობა, დახურული „პეკაქით“, ზომით 12,6X12კვმ. შეფასებულია 1200 ლარად,
9. საფრინველე 2, დანგრეულია დიდთოვლობის გამო, ვარგისია აგური, შეფასებულია 400 ლარად,
10. საფრინველე 4, დანგრეულია დიდთოვლობის გამო, ვარგისია აგური, შეფასებულია 320 ლარად,
11. საქვაბე, აგურის და შლა-ბლოკის, დანგრეულია, შეფასებულია 800 ლარად,
12. ძვ. ინკუბატორის შენობა, აგურის, ზომა 12,15X7კვმ, საჭიროებს რემონტს, შეფასებულია 900 ლარად,
13. ელექტროქვესადგური, რკინის, ზომა 2X2, შეფასებულია 150 ლარად,
14. სავენტილაციო დანადგარი, ვარგისია ძრავი, შეფასებულია 150 ლარად,
15. სამაცივრე დანადგარი, ჯართი 0,5 ტ. შეფასებულია 80 ლარად,
16. ინკუბატორი (1-2) ჯართი 0,5 ტ. შეფასებულია 80 ლარად,
17. კონდენსატორი, ჯართი 0,2ტ. შეფასებულია 30 ლარად,
18. წყლის გამაცხელებელი, უვარგისი, შეფასებულია 10 ლარად,
19. საბეჭდი მანქანა, შეფასებულია 10 ლარად,
20. ცეცხლგამძლე სეიფი, შეფასებულია 80 ლარად,
21. ჯართი 6 ტ. შეფასებულია 900 ლარად,
22. ელ. ვენტილატორი 2ც. შეფასებულია 40 ლარად,
23. ელგამშვები „კლაპანი“, შეფასებულია 40 ლარად,
24. აუზი სახანძრო, სარემონტო, შეფასებულია 50 ლარად,
25. გზა საფრინვ. ძველი, აღსადგენი, შეფასებულია 20 ლარად,
26. ელკამერა 6ც. 5 უვარგისი, შეფასებულია 40 ლარად,
27. კანალიზაცია, აზბესტის მილები, შეფასებულია 100 ლარად,
28. ნაკელსაცავი, დანგრეული, შეფასებულია 25 ლარად,
29. დეზ-ბარიერი, შეფასებულია 200 ლარად,
30. ბეტონის საყრდენები, 60 ცალი, 120 ლარი,
31. ბეტონის ბოძები, 31 ცალი, 2480 ლარი,
32. ბეტონის წყალგამტარი, 120 ცალი, 1200 ლარი,
33. შიფერი 87ც. 435 ლარი,
34. წყლის სათავე ნაგებობა, აღსადგენია, შეფასებულია 400 ლარად.

სულ სარეალიზაციოდ გამოტანილი ქონების საწყისი ფასი შეადგენს 19460 (ცხრამეტიათას ოთხასსამოცი) ლარს.

მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე ვალდებულნი არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი აუქციონის დაწყებამდე წარუდგინონ ქუთაისის საგადასახადო ინსპექციას.

აუქციონზე მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე წინასწარ გადაიხადოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების 2%, რომლის შეძენასაც იგი აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ჩაითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.

ნებისმიერი მყიდველი, რომელიც აუქციონზე შეისყიდის ქონებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს მის მიერ შემოთავაზებული ფასის სულ ცოტა ნახევარი, ან 5000 ლარი უმცირესი თანხის მიხედვით, თუ აუქციონზე მიღებულ იქნა მის მიერ შემოთავაზებული ფასი, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა დაიფაროს რეალიზაციიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. თანხის მთლიანად დაფარვამდე მყიდველს არ გააჩნია ქონებაზე საკუთრების უფლება.

ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს ქუთაისის საგადასახადო ინსპექციასთან შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ ქონებას.

**ცნობებისათვის მიმართეთ ქუთაისის საგადასახადო ინსპექციას მისამართზე: ქ. ქუთაისი, რუსთაველის პრ. 1**

**ტელ.: 8-231-4-20-95, 8-231-4-45-79.**

◎ უეფას თასი

# პირველი შედეგები

**გაუწყებთ უეფას თასის გათამაშების ჯგუფური ეტაპის I ტურის სრულ შედეგებს.**

**I ჯგუფი.** „შალკე" – „პსჟ" 3:1, „ტვენტე" – „რასინგი" 1:0. ისვენებდა „მანჩესტერ სიტი".

**6 ნოემბერს ითამაშებენ:** „მანჩესტერ სიტი" – „ტვენტე", „რასინგი" – „შალკე". ისვენებს „პსჟ".

**II ჯგუფი.** „გალათასარაი" – „ოლიმპიაკოსი" 1:0, „ჰერტა" – „ბენფიკა" 1:1. ისვენებდა „მეტალისტი".

**6 ნოემბერს ითამაშებენ:** „მეტალისტი" – „ჰერტა", „ბენფიკა" – „გალათასარაი". ისვენებს „ოლიმპიაკოსი".

**III ჯგუფი.** „სევილია" – „შტუტგარტი" 2:0, „პარტიზანი" – „სამპდორია" 1:2. ისვენებდა „სტანდარდი".

**6 ნოემბერს ითამაშებენ:** „სტანდარდი" – „სევილია", „შტუტგარტი" – „პარტიზანი". ისვენებს „ სამპდორია".



**IV ჯგუფი.** „უდინეზე" – „ტოტენჰემი" 2:0, „დინამო" (ზაგრები) – „ნაიმეგენი" 3:2. ისვენებდა „სპარტაკი".

**6 ნოემბერს ითამაშებენ:** „სპარტაკი" – „უდინეზე", „ტოტენჰემი" – „დინამო" (ზაგრები). ისვენებს „ნაიმეგენი".

**V ჯგუფი.** „ჰერენვენი" – „მილანი" 1:3, „ბრაგა" – „პორტსმუთი" 3:0. ისვენებდა „ვოლფსბურგი".

**6 ნოემბერს ითამაშებენ:** „მილანი" – „ბრაგა", „ვოლფსბურგი" – „ჰერენვენი". ისვენებს „პორტსმუთი".

**VI ჯგუფი.** „ასტონ ვილა" – „აიაქსი" 2:1, „ჟილინა" – „ჰამბურგი" 1:2. ისვენებდა „სლავია".



**6 ნოემბერს ითამაშებენ:** „აიაქსი" – „ჟილინა", „სლავია" – „ასტონ ვილა". ისვენებს „ჰამბურგი".

**VII ჯგუფი.** „რუსენბორგი" – „ბრიუგე" 1:3, „კოპენჰაგენი" – „სენტ ეტიენი" 1:3. ისვენებდა „ვალენსია".

**6 ნოემბერს ითამაშებენ:** „ვალენსია" – „კოპენჰაგენი", „სენტ ეტიენი" – „რუსენბორგი". ისვენებს „ბრიუგე".

**VIII ჯგუფი.** ცსკა – „დეპორტივო" 3:0, „ნანსი" – „ფეიენოორდი" 3:0. ისვენებდა „ლეხი".

**6 ნოემბერს ითამაშებენ:** „ფეიენოორდი" – ცსკა, „ლეხი" – „ნანსი".

◎ კალათბურთი

# ევროლიგაც დაიწყო

**ევროლიგის ჯგუფური რაუნდის სტარტი ესპანური კლუბების ტრიუმფით აღინიშნა – ხუთივემ გამარჯვება მოიპოვა. გაუწყებთ I ტურის შეხვედრათა შედეგებს:**

**„ა" ჯგუფი.** „უნიკახა" – „ლე მანი" 84:79, „ციბონა" – „მაქაბი" 81:79, „აველინო" – „ოლიმპიაკოსი" 69:83.

**30 ოქტომბერს ითამაშებენ:** „მაქაბი" – „აველინო", „ოლიმპიაკოსი" – „უნიკახა", „ლე მანი" – „ციბონა".

**„ბ" ჯგუფი.** „ნანსი" – „ბარსელონა" 54:82, „პანათინაიკოსი" – „ჟალგირისი" 78:51, „სიენა" – „პროკომი" 80:71.

**29 ოქტომბერს ითამაშებენ:** „ბარსელონა" – „პანათინაიკოსი", „პროკომი" – „ნანსი", „ჟალგირისი" – „სიენა".

**„გ" ჯგუფი.** „ტაუგრესი- – „ფენერბახჩე" 80:70, „ალბა" – „რომა" 68:63, „ხუვენტუდი" – „ოლიმპია" 81:64.

**30 ოქტომბერს ითამაშებენ:** „ფენერბახჩე" – „ალბა", „რომა" – „ხუვენტუდი", „ოლიმპია" – „ტაუგრესი".



**„დ" ჯგუფი.** ცსკა – „მილანი" 90:64, „ეფესი" – „პარტიზანი" 61:60, „რეალი" – „პანიონიოსი" 87:66.

**29 ოქტომბერს ითამაშებენ:** „მილანი" – „ეფესი", „პანიონიოსი" – ცსკა, „პარტიზანი" – „რეალი".

◎ ჭადრაკი

# წლეულს – სხვათა ომში



**კალითეაში (საბერძნეთი) დამთავრდა მოჭადრაკეთა ევროპის საკლუბო ჩემპიონატი, რომელშიც, სამწუხაროდ, ქართულ გუნდებს არ უასპარეზიათ, არადა, ქალთა შორის თბილისის „ნტნ"-ი რამდენჯერმე ჩემპიონი და პრიზიორი გახდა.** სამაგიეროდ, ჩვენი დიდოსტატები სხვადასხვა ქვეყნის ღირსებას იცავდნენ. ნანა ძაგნიძე „მონტე კარლოს" შემადგენლობაში გამოდიოდა. მასთან ერთად პირველობისთვის იბრძოდნენ ინდოელი ჰამფი კონერუ, შვედი პია კრამლინგი, ჩინელი იან ქსიუ, პოლონელი მონიკა სოცკო და ფრანგი ელმირა სკრიპჩენკო. მონტეკარლოელებმა შვიდიდან ხუთი შეხვედრა მოიგეს, ორი ფრედ დაამთავრეს და 12 ქ ულით პირველი ადგილი დაიკავეს. გამარჯვებულებს ორ-ორი ქულით ჩამორჩნენ ვიდნოეს „სპარტაკი" (რუსეთი), „ჰოდგორიცა" (ჩერნოგორია), და სარატოვის „ეკონომისტი" (რუსეთი). მათ, შესაბამისად, მეორე-მეოთხე ადგილები გაინაწილეს. 9 ქულით მეხუთე ადგილზე გავიდა შარშანდელი ჩემპიონი ერევნის „მიკა", რომლის შემადგენლობაშიც მაია ჩიბურდანიძე და ნინო სალუქვაძე თამაშობდნენ.

საქართველოს ნაკრების წევრები ორშაბათიდან ბაკურიანში საჭადრაკო ოლიმპიადისთვის მოსამზადებლად საწვრთნელ შეკრებას დაიწყებენ. ევროპის საკლუბო ჩემპიონატში მონაწილეობით, მათ, იმედია, საშეჯიბრო გამოცდილება გაიმდიდრეს.

◎ ქართული ჭიდაობა

# სარბიელზე – სტუდენტები

**საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტში წლეულს მეორედ გაიმართა სასწავლებლის ღია პირველობა ქართულ ჭიდაობაში, რომლის ინიციატორი და ხელშემწყობი გახლდათ უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი გელა ჯავახიშვილი.** წლეულს შეჯიბრებაში 8 უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ გიორგი გუჯეჯიანი (60 კგ.), გიორგი ქიზიყელაშვილი (65 კგ.), რევაზ აბელაშვილი (70 კგ.), ამბაკო ავალიანი (75 კგ.), ზაქრო ფოლადაშვილი (80 კგ.), გიორგი ცოციაშვილი (90 კგ.).

**აბსოლუტურ ფალავნობაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა:** 1. დიმიტრი ტურაშვილი, 2. შავლეგო ბერუაშვილი, 3. მიხეილ აბრამიშვილი.

წონითი კატეგორიების მიხედვით გამარჯვებულებსა და პრიზიორებს შესაბამისი ხარისხის დიპლომები და მედლები გადაეცათ, ხოლო აბსოლუტურში ჩემპიონმა ყოჩიც დაიმსახურა.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს წლევანდელი ფალავნობა 30 ოქტომბერს ვერის ბაღის ბავშვთა კალათბურთის სასახლეში 12 საათზე დაიწყება.

◎ ჭიდაობა

## სახელოვან ფალავნებს მიეძღვნა

**ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხის 120 წარმომადგენელი მონაწილეობდა ონში გამართულ გიორგი სხირტლაძისა და შურა მაისურაძის სახელობის თავისუფალი სტილით მოჭიდავე ჭაბუკთა ტურნირში.** წონითი კატეგორიების მიხედვით პირველ ადგილებზე გავიდნენ ალეკო ხიდეშელი, აგელ მაგომედოვი, გიორგი ხელაძე, ხალიმ მახმუდოლლი, არტურ მოდოსიანი, ხვთისო იორამაშვილი, თორნიკე ასწრაფაშვილი, ალეკო ხარატურიანი, კახაბერ ელბაქიძე, ლაშა გომელაური, კოტე ხაბელაშვილი, ჯაბა ყველაშვილი, ავთანდილ გიგაშვილი, ვანო პეტრიაშვილი და ტარიელ ლაბაძე.



◎ ინტერნეტიდან

## დევიდ ბექჰემი — „მილანში"?



**ყოველ შემთხვევაში, როგორც განაცხადა იტალიური „მილანის" ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ, ახალი წლიდან მათ გუნდს შეუერთდება „ლოს-ანჟელეს გელაქსის" ნახევარმცველი დევიდ ბექჰემი. ადრე ფიქრობდნენ, რომ ეს ნოემბრის ბოლოს მოხდებოდა, მაგრამ ახლა ცნობილი გახდა, რომ ინგლისელი ფეხბურთელი იანვარში გააფორმებს „მილანელებთან" ოთხთვიან ხელშეკრულებას.**

გალიანის თქმით, თუკი ბექჰემი მინდორზე გამოვა კაკასა და რონალდუსთან ერთად, მაშინ ნამდვილი დრიმ-ტიმი შედგება. პირველ რიგში, ეს ჩვენთვის საუკეთესო გარიგებააო, და არა სარეკლამო ნაბიჯიო. ანჩელოტი შეძლებს ბექჰემის გამოყენებას არა მარტო იტალიურ მატჩებში, არამედ უეფას თასზეც. როგორც ამბობენ, ბექჰემი „მილანში" არენდით მიდის, შემდეგ კი ისევ ამერიკაში დაბრუნდება.

## საშობაო საჩუქარს რა დაავიწყებთ

**ყველას უყვარს საშობაო-საახალწლო საჩუქრების მიღება და ის მთელი წელი ახსოვს.**

ალბათ, სწორედ მთელი 2009 წელი ემახსოვრება დიდი ბრიტანეთის მამაკაც მოსახლეობას ლამაზმანი კელი ჰელი, იმიტომ, რომ მან საშობაოდ ძლიერი სქესის წარმომადგენლებს თავისი პიკანტური სურათებით სავსე კალენდარი „აჩუქა". სწორედ რომ ძვირფას საჩუქრად მიიჩნევენ მას ქალის სილამაზის დამფასებლები.

სილამაზეს ხომ საშინელი ძალა აქვს. ამას სხვა თუ არა, აუცილებლად დაგიდასტურებთ ინგლისური „ჩელსის" ნახევარმცველი ჯო კოული. ორი წლის წინათ ის ხომ სწორედ კელის სახლში მიზეგვეს. როგორც ამბობენ, ამის მიზეზი იყო ქალების მოყვარული ფეხბურთელის მცდელობა, შეეცდინა მოკრძალებული ლამაზმანი. თუმცა, ვინც კელის ფოტოებს ნახავს, ადვილად მიუხვდება ფეხბურთელის ვნებებს. გამორიცხული არ არის, მისი ბედი გაიზიარონ ნისლიანი ალბიონის სხვა სპორტსმენებმაც.



## ქულანახევარიღა სჭირდება

**ბონში გაიმართა მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონობისთვის მოქმედი ჩემპიონის ვიში ანანდისა და ექს-ჩემპიონის ვლადიმერ კრამნიკის მატჩის მეშვიდე პარტია.**



მართალია, ორთაბრძოლა ანანდის პოზიციური უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ ენდშპილში შავებით მოთამაშე რუსეთელმა უფრო ზუსტად ითამაშა და თავი დააღწია მორიგ დამარცხებას. ანგარიში გახდა 5:2 ანანდის სასარგებლოდ. ახლა დარჩენილ 5 ტურში ინდოელ დიდოსტატს საბოლოო გამარჯვებისთვის მხოლოდ ქულანახევარი სჭირდება. ეს ორთაბრძოლა 2 ნოემბრამდე გაგრძელდება. ამ მატჩში გამარჯვებული შემდგომში შეხვდება ბულგარელი ვესელინ ტოპალოვისა და მსოფლიო თასის მფლობელ, ამერიკელ გატა კამსკის მატჩში გამარჯვებულს.

## ღმერთმა აცხონოს!

**კრივის მსოფლიო საბჭომ (WBC) გადაწყვიტა, ფინანსური დახმარება აღმოუჩინოს მექსიკელი მოკრივის დანიელ აგულიონის ოჯახს, ის კი ხუთდღიანი კომის შემდეგ ორშაბათს გარდაიცვალა.**

24 წლის აგულიონი, 58,9 კგ. წონით კატეგორიაში რომ გამოდიოდა, მე-12 რაუნდის ბოლო წუთზე ნოკაუტში ჩააგდო თანამემამულე ალესანდრო სანაბრიამ. დანიელმა გონება დაკარგა და მას შემდეგ აღარ მობრუნებულა.

საქმე №2-7

24 ოქტომბერი 2008 წელი — ქ. გარდაბანი

გარდაბნის რაიონული სასამართლო

## განჩინება

**გარდაბნის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ქეთინო ლუაშვილმა, ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სს „თბილსრესის" ქონების მიმართ წარმოებული „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" კრედიტორთა კრების მოწვევის საკითხი, რა დროსაც**

**დაადგინა:**

1. სს „თბილსრესის" „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" კრედიტორთა კრება მოწვეულ იქნას 2008 წლის 29 ოქტომბერს 17 საათზე გარდაბნის რაიონულ სასამართლოში, სხდომის დარბაზი №1.

2. აღნიშნული განჩინების შესავალი და სარეზოლუციო ნაწილები გამოქვეყნდეს ჟურნალ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში", ასევე დამატებით გამოქვეყნდეს გაზეთებში „საქართველოს რესპუბლიკა", „24 საათი" და ქვემო ქართლის რეგიონალურ ტელევიზიაში; გამოქვეყნების ხარჯები დაეკისროს გაკოტრების მასას;

3. განჩინების გასაჩივრება არ დაიშვება.

**მოსამართლე: ხელმოწერილია ქ. ლუაშვილი**
**ასლი დედანთან სწორია კანც. გამგე ნ. სვანი**

ვითარება

# რომელი სახელმწიფო ჩინოვნიკები დაისჯებიან დევნილთა დახმარების მითვისებისთვის

**მას შემდეგ, რაც ქვემო ქართლსა და ზემო აფხაზეთში რუსების საოკუპაციო ჯარები შეიჭრნენ, სრულიად უდანაშაულო ადგილობრივი მოსახლეობა დევნილად იქცა. მათმა რაოდენობამ 100 ათასს გადააჭარბა. უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდნილთათვის ცივილიზებულმა სამყარომ სხვადასხვა სახის ჰუმანიტარული დახმარებები გამოაგზავნა. ჩვენი ხელისუფლება მათ კი ილებდა, მაგრამ დევნილებამდე მხოლოდ მიზერული რაოდენობა მიდიოდა. ლტოლვილები ხშირად გულისწყრომით აღნიშნავდნენ, რომ მათთვის გამოგზავნილ ტვირთს – პირველადი მოხმარების საგნებს ხედავდნენ (დღესაც ხედავენ) ბაზრობებზე, სუპერმარკეტებსა და ა. შ.**

**არასამთავრობოები, პოლიტიკოსები და იძულებით ადგილნაცვალი პირები ამას ასე ხსნიდნენ: არ იყო ორგანიზებული დახმარებების გაცემის სტრუქტურა, მასზე კონტროლი, რაც საბოლოო ჯამში ზოგიერთი უსირცხვილო ჩინოვნიკის ინტერესებში შედიოდა. სახელმწიფო მოსამსახურენი ჰუმანიტარულ დახმარებებს (თანხებს, პროდუქტს, ნივთებს) თავიანთი შეხედულებებით საკუთარი კეთილდღეობისთვის განკარგავდნენ. ყველა არასამთავრობო, პოლიტიკური ორგანიზაციისა და ცალკეულ დევნილთა განცხადებები მომხდარი ფაქტების ირგვლივ, ხელისუფლების ყურადღების მიღმა რჩებოდა.**

დევნილები ყველგან, სადაც კი კომპაქტურად იყვნენ ჩასახლებული, მსგავს სიტუაციებს აწყდებოდნენ.

როგორც ჩანს, ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირები სერიოზულად გააღიზიანა მათი მისამართით მასმედიის საშუალებებით წამოსულმა კრიტიკის ნიაღვარმა. ჩინოვნიკებმა გადაწყვიტეს ხელი მოეკიდათ პრობლემისათვის და პირველი რეაგირება კახეთიდან, გურჯაანის რაიონიდან წამოსულ სიგნალზე მოეხდინათ. ამის მიზეზი კი გახდა არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა ცენტრის" მიერ გავრცელებული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ დევნილთათვის განკუთვნილი დიდი ოდენობით თანხები არამიზნობრივად იხარჯებოდა, ითვისებდნენ, ფლანგავდნენ.

არასამთავრობოების განცხადებასთან დაკავშირებით შსს-ს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე დევნილთა თანხების მითვისების ფაქტზე. როგორც ირკვევა, მეგობარი ქვეყნებიდან წამოსული დახმარების განაწილებისას ადგილებზე ხელმძღვანელი მუშაკები ბიზნესმენებისა და საბიუჯეტო ორგანიზაციების მომსახურეთათვის სავალდებულოს ხდიდნენ დევნილთა დახმარების საქველმოქმედო ფონდში მნიშვნელოვანი თანხების შეტანას, ზემოდან წამოსული ინიციატივის უშუალო შემსრულებელი გურჯაანის გამგეობის სოციალური განვითარების სამსახურის უფროსი დავით მაჭარაშვილი აღმოჩნდა.

მოკვლევის პირველადი მონაცემებით (სამართალდამცავები მკაცრად ასაიდუმლოებენ გამოძიების მასალებს), მაჭარაშვილის „კონტროლის" მიერ გურჯაანელებისთვის ათიათასობით გამორთმეული ლარი არამიზნობრივად არის გახარჯული. საქველმოქმედო თანხის დიდი ნაწილის შესახებ ინფორმაციები ხელმიუწვდომელია.

იხ. 12 გვ.

ხსოვნა

# ლამარა გაგუა



უფროსი თაობის ქართველ ჟურნალისტთა რიგებს გამოაკლდა ლამარა გაგუა – საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, ღირსების ორდენოსანი, სამაგალითო კოლეგა და მეგობარი.

ლამარა გაგუას სახელი მჭიდროდ არის დაკავშირებული საქინფორმთან, სადაც რამდენიმე ათეული წელი ილვაწა და მკითხველებს თავი დაამახსოვრა შესანიშნავი ანალიტიკური მასალებით, რეპორტაჟებით, ნარკვევებით. არაჩვეულებრივი ჟურნალისტური ალღო ჰქონდა: ერთი შეხედვით, თითქოს უმნიშვნელო მოვლენას დიდ სოციალურ ჟღერადობას შესძენდა. ამ პუბლიკაციებში ნათლად გამოჩნდა მისი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა. იგი ღირსეულად ემსახურა ქართულ ჟურნალისტიკას, ახალგაზრდების პროფესიულ დაოსტატებას.

ლამარა გაგუა კოლორიტული პიროვნება გახლდათ – მეგობრების სული და გული, მოყვასის დამხმარე, ქომაგი და მხარში მდგომი. შესაშური თვისება ჰქონდა – ადამიანის სიყვარული, ყველა მათგანში სიკეთის მარცვალს ხედავდა. თავადაც ხომ სიკეთის უანგარო მთესველი იყო. ბუნებამ უხვად უბოძა გარეგნული მშვენიერება და მაღალი სულიერება. ყოველივე ამან მას გამორჩეული ადგილი დაუმკვიდრა.

მუდამ შემართული და აქტიური, გულთბილი და მიმტევებელი, კოლეგების ნიჭის დამფასებელი და მათი წარმატებით გახარებული – ასეთი დაამახსოვრდება ლამარა გაგუა ყველას, ვინც მას იცნობდა, ან მასთან პროფესიული ურთიერთობა ჰქონდა.

უაღრესად დასანანია ნიჭიერი ჟურნალისტის, შესანიშნავი მოქალაქის, თავის ქვეყანაზე უსაზღვროდ შეყვარებული ლამარა გაგუას სიკვდილი. იგი პირნათელი მიუვა თავის ღირსეულ წინაპრებს.

მსუბუქი იყოს მისთვის მშობლიური მიწა.

საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაცია,
საქინფორმელი კოლეგები,
გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქცია

---

შვილი ნიკა, რძალი ქეთინო, შვილიშვილები ვახტანგ, თამუნა ჩიქოვანეები, და ნინო, ძმა სულიკო გაგუები, სიძეები ოთარ მეტრეველი, გიზო ხანიაშვილი, დისწულები ნინო, თამუნა მეტრეველები, ძმისწულები იასონ, პავლე გაგუები, მძახლები რიმა, მამია კალანდაძეები, უახლოესი ნათესავები და მეგობრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლამარა იასონის ასული გაგუა

პანაშვიდი 26, 27 X, 17 სთ. ვაჟა-ფშაველას მე-2 კვარტალი, 25-ე კორპუსი. დაკრძალვა 28 X, 15 სთ. ქ. ქუთაისში, საფიჩხიის სასაფლაოზე.

გამოსათხოვარი

# ვაჟა ჭიაურელი



სამოცი წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა სპორტული ჟურნალისტიკის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელი, უაღრესად თავმდაბალი, კეთილშობილი, სპეტაკი პიროვნება ვაჟა ჭიაურელი.

სპორტისადმი, განსაკუთრებით ფეხბურთისადმი მიძღვნილი მისი პუბლიკაციები ყოველთვის დიდი ცოდნით, სიყვარულითა და პასუხისმგებლობის გრძნობით იყო განმსჭვალული და გამოირჩეოდა ღრმა ანალიზით.

ვაჟა ჭიაურელს თავდავიწყებით უყვარდა სამშობლო, თავისი ოჯახი, მეგობრები. ახარებდა ყველაფერი კარგი, მტკივნეულად განიცდიდა ქვეყანაში მომხდარ ბოლო მოვლენებს, აკი, ველარ გაუძლო ყოველივე ამას მისმა სათუთმა გულმა...

სპორტის დამსახურებულ მუშაკს, ღირსების ორდენოსან ვაჟა ჭიაურელს ამაოდ არ უცხოვრია. იგი კალმის კაცი იყო, ეს იყო მისი კანდელი. ქართული ჟურნალისტიკის ტაძარში ანთებული კალმის კანდელი კი არასდროს ქრება.

ლხინსა და, განსაკუთრებით, ჭირში ვაჟა ჭიაურელი ყოველთვის გვერდში ედგა ნაცნობ-მეგობრებს, რომლებსაც ბევრჯერ დააკლდება მისი დახმარების ხელიცა და კეთილი ღიმილიც.

წავიდა ჩვენგან შესანიშნავი ჟურნალისტი, გულისხმიერი, თავაზიანი, საქმისა და მოყვასის სიყვარულით გამორჩეული პიროვნება, რომელსაც ჯერ კიდევ ბევრის გაკეთება შეეძლო. სანუგეშოდ იმის იმედიღა დაგვიტოვა, რომ კარგი ადამიანი სიკვდილთან ერთად არ კვდება, ის სიცოცხლეს ცოცხლებში აგრძელებს.

ჭიაურელების გვარის ღირსეულმა წარმომადგენელმა ამ ქვეყნად მხოლოდ სიკეთე თესა. მადლობა ყოველივე ამისთვის.

ალალი იყოს გულწრფელი ცრემლი, რომლითაც ვაცილებთ უსაყვარლეს მეგობარს უკვდავების გზაზე.

მეგობრების სახელით
დემიკო ლოლაძე

---

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" თანამშრომლები იუწყებიან ცნობილი ჟურნალისტის, გაზეთის აქტიური კორესპონდენტის

ვაჟა ჭიაურელის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 25 X, 16 სთ. გამოსვენება 26 X, 14 სთ. ნათიშვილის ქუჩა №8 (სასტუმრო „ლონდონთან" ქ.



მეუღლე მაია გველესიანი, შვილები ნათია, დადუ, ანა კაკაბაძეები, დისწული ნინო კირთაძე, სიძე ლევან გიორგაძე, ბიძა გივი ნადარეიშვილი, სიდედრი ლილი გველესიანი, ცოლისძმა თამაზ გველესიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

პაატა რევაზის ძე კაკაბაძე

პანაშვიდი 26, 27 X, 16 სთ. მისამართი, თაბუკაშვილის ქ. №42. დაკრძალვა 28 X. გამოსვენება ქაშვეთის ეკლესიიდან, 14 სთ.

---



დედა ლილი არქანია, მეუღლე საიდა ჭილაია, შვილები ლიკა, ნინო, დები საშურა, დინა, მძახლები თალინა, გურამ ჭილაიები, დისწულები გიორგი, სანდრიკა თოფურიძეები, ბიძა ვლადიმერ არქანია, მამიდა დინა ბასილაია, დეიდა ლიდა არქანია, ასმათ, მირანდა, გიგა ჭილაიები, ახლო ნათესავები და მეგობრები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

დავით (დათო) დავითის ძე ბასილაია

პანაშვიდი 26, 27 X, 16 სთ. გამოსვენება 28 X, 14 სთ. მისამართი: ცოტნე დადიანის ქ. №148, IV სადარბაზო, ბინა 26.

---

გურამ (კოია) გომართელი ოჯახით იუწყება ნათესავის, უახლოესი მეგობრისა და უკეთილშობილესი პიროვნების

რეზო ვაჩიბერიძის

გარდაცვალებას.

გახსენება

# ელეონორა მირზოევა-თარხნიშვილი



ჩვენო ნაამაგარო დედა, 25 ოქტომბერიც დადგა, მიიწურა ტკივილიანი ერთი წელი შენი გარდაცვალებიდან, სიტყვებით ძნელია იმ ტკივილის გადმოცემა, რაც შენი გარდაცვალებით არის გამოწვეული. დედაშვილობა რომ უძლიერესი და დიდი გრძნობაა, ამას მთელი ცხოვრება გვასწავლიდი.

დედიკო, ძალიან ძნელი ყოფილა უშენობა, როდესაც ძალიან გვიჭირს, სულ ვამბობთ დედიკო გვეტყოდა, გული კარგს მეუბნება, ტყუილად ნუ ნერვიულობთო. სწორედ ამ დიდი დარდისას გვჭირდება შენებური შემოძახება, მე თქვენს გვერდით ვარ, რისი გეშინიათო.

დედიკო, შენ არა მხოლოდ ჩვენი მესაიდუმლე იყავი, არამედ ჩვენი მეგობრებისაც, რომლებსაც ასევე დააკლდი. შენს მიერ დათესილ სიკეთეს შენი შვილები ვიმკით. გწამდეს, რომ შენი და თამოს საფლავი ყოველთვის იქნება ჩვენი საფიცარი. ყველაზე ძნელი მონატრება ყოფილა.

დედიკო, შენი გავლილი ცხოვრებით და იმ დიდი სიკეთით, რომლითაც უფალმა დაგაჯილდოვა, შენს ლამაზ სულს სასუფეველში მიუჩენს ბინას.

მადლობა უფალს, რომ გვარგუნა ასეთი დედა.

უსასრულო სიყვარულისთვის გაცხონოს ღმერთმა. ძალიან გვენატრები, ჩვენო ნაამაგარო და ტკბილო დედა.

შვილები მარინა, მალხაზ, შვილიშვილი თეა,
რძალი თამარ თარხნიშვილები

ხსოვნა

# გურამ ქანდარია

უეცრად, 62 წლის ასაკში, ჰიდროტექნიკოსთა რიგებს გამოაკლდა შესანიშნავი მოქალაქე და სპეციალისტი გურამ ქანდარია.

თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ იგი 1970 წლიდან მუშაობდა სს „საქწყალპროექტში" ინჟინრის, უფროსი ინჟინრის, ჯგუფის უფროსის, პროექტის მთავარი ინჟინრის თანამდებობაზე, 1981 წლიდან კი – ქ. ფოთში კოლხეთის საპროექტო განყოფილების უფროსად.

ბოლო წლებში, იგი მუშაობდა „ფოთპროექტის" დირექტორად, ამავე დროს, იყო დასავლეთ საქართველოს სამელიორაციო ობიექტების შპს „კოლხეთი მ"-ის ტექნიკური მენეჯერი.



ბატონმა გურამმა მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება დასავლეთ საქართველოში კოლხეთის დაბლობის ათვისების საქმეს მოახმარა. იგი უშუალოდ მონაწილეობდა რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში სადრენაჟო სისტემების, ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების, ზელიმიტური და მუშა პროექტების მომზადებაში.

იგი იყო შესანიშნავი ოჯახის მამა, სტუმართმოყვარე და ქართული ტრადიციების უბადლო მიმდევარი.

გურამ ქანდარიას ცხოვრების განვლილი გზა კარგი მაგალითია იმისა, თუ რა პატიოსნებით და მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობით უნდა ემსახურო საზოგადოებას, იყო მასთან ჭირსა და ლხინში. იგი თავისი ცხოვრებით მუდამ იქნება სანიმუშო მაგალითი ნაცნობებისა და მეგობრებისთვის. თავზარდამცემი იყო მისი გარდაცვალების ამბის გაგება.

სს „საქწყალპროექტის" დირექცია

◉ სულიერება

# 26 ოქტომბერი ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის დღესასწაულია

**IX საუკუნის II ნახევარში ბიზანტიის იმპერატორმა გასცა ბრძანება, ყველა ხატი გაენადგურებინათ. ერთ კეთილმოსურნე ქალს გადაუმალავს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი.** იმპერატორის მიერ გაგზავნილ მხედრებს უპოვიათ გადამალული ხატი და ერთ-ერთ მათგანს „მახვილი დაუცია პირსა ხატისა" და სასწაული მომხდარა – ნაიარევიდან სისხლს დაუწყია დენა. კეთილმორწმუნე ქალს ლოცვის შემდეგ ხატი ზღვასთან მიუბრძანებია, წყალში ჩაშვებულ ხატს გეზი დასავლეთისკენ აუღია... ათონის ივერთა მონასტრის ბერებს უხილავთ: ზღვაში, ღვთისმშობლის ხატს ნათლის სვეტი ედგა! როცა ბერებს მიახლოება გადაუწყვეტიათ, ხატი ზღვის ნაპირს გაშორებულა...

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორე ბრძანებს: ...„ივერთა მონასტერში მოღვაწეობდა ქართველი ბერი გაბრიელი, წმინდა მთის მამებს ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი გამოეცხადა და აუწყა, რომ მხოლოდ გაბრიელ ივერიელი იყო ღირსი წმინდა ხატის ზღვიდან ამოყვანისა. ათონელმა ბერებმა გალობით და საკმევლის კმევით გაბრიელ ბერი ზღვის ნაპირამდე მიიყვანეს, ხოლო მან ზღვიდან ნაპირზე გამოაბრძანა წმინდა ხატი. ზღვიდან გამოსვენებული ხატი ეკლესიაში შეაბრძანეს და საკურთხეველში დააბრძანეს. მაგრამ მეორე დღეს ბერებს ხატი ადგილზე არ დახვდათ. ძებნის შემდეგ ის აღმოაჩინეს მონასტრის კარიბჭის კედელზე, ჩამოაბრძანეს და ისევ საკურთხეველში შეასვენეს. ასე განმეორდა რამდენჯერმე. ყოვლადწმინდა ქალწულმა გამოცხადებაში უთხრა გაბრიელ ბერს, მე მნებავს, რომ თქვენ კი არ მიცავდეთ მე, არამედ მე გფარავდეთ თქვენო".



გფარავდეთ ივერიის ღვთისმშობლის ხატი!

**გიული ლიპარტია**

◉ მილოცვა



**თბილისის ყოფილი 1 ექსპერიმენტული (ამჟამად 198-ე საჯარო) სკოლის დირექცია და მასწავლებლები დაბადებიან 80 წლისთავს ულოცავენ ამ სკოლის ერთ-ერთ დამფუძნებელსა და პირველ დირექტორს ბატონ ლევან ჩიქვანაიას.**

მისი ხელმძღვანელობით ეს სკოლა ჩამოყალიბდა როგორც სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სრულყოფის, ახალი პედაგოგიური იდეების კვლევა-დანერგვის სანიმუშო ცენტრი. ამ სკოლაში აღიზარდა ჩვენი საზოგადოების მრავალი თვალსაჩინო მოღვაწე.

საბედნიეროდ, სკოლა და პედაგოგები დღესაც ინარჩუნებენ თითქმის 40 წლის წინათ დანერგილ ტრადიციებს და მიმართულებებს.

ვუსურვებთ ბატონ ლევან ჩიქვანაიას ხანგრძლივ სიცოცხლეს და ნაყოფიერ შემოქმედებით მოღვაწეობას.

**ყოფილი I ექსპერიმენტული სკოლის პედაგოგიური საზოგადოება**

◉ ვითარება

# რომელი სახელმწიფო ჩინოვნიკები დაისჯებიან დევნილთა დახმარების მითვისებისთვის



**(მეთერთმეტე გვერდიდან)**

აღძრულ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით გამომძიებლებმა უკვე დაკითხეს მაჭარაშვილი. მომხდარს იგიც ადასტურებს, თუმცა არ აკონკრეტებს რა საკითხის ირგვლივ მიმდინარეობდა დაკითხვა.

კუდმა უკვე დაკითხა „გურჯაანის ნაყინის" დირექტორი გურამ ბერიკაშვილი, რომელიც გურჯაანში დევნილთა საქველმოქმედო შტაბს ხელმძღვანელობს. დაკითხვის დეტალები აქაც უცნობია.

დევნილთა ერთი ჯგუფის გაოცებას იწვევს ის გარემოება, რომ სამართალდამცავებმა თანხების დატაცებით დაინტერესება კახეთიდან დაიწყეს. თუ საქმეში მართლა სურთ გარკვევა, მასალების შეგროვება თბილისიდან და სხვა დიდი ქალაქებიდან უნდა დაიწყონ, სადაც დევნილთა აბსოლუტური უმრავლესობა იყო კომპაქტურად ჩასახლებული – აცხადებენ ლტოლვილები და იქვე დასძენენ, რომ დედაქალაქის საქმის წინ წამოწევა ხელისუფლებას არ სურს – ჩვენს ხარჯზე ბევრმა თანამდებობის პირმა მოითბო ხელიო. აქვთ არც თუ უსაფუძვლო ეჭვი იმის თაობაზე, თუ რატომ ხდება მათი დროებითი თავშესაფრებიდან ნაჩქარევად გამოსახლება და ძველ ნასახლარზე დაბრუნება. მიაჩნიათ, რომ უცხოეთიდან შემოსული ფულადი დახმარებები გაიფლანგა, ჰუმანიტარული ტვირთი გაიყიდა. ხელისუფლებას აღარ აქვს მათთვის დახმარების გასაწევი ხარჯები. ამის გამო ხდება ისიც, რომ მოტყუებით ცარიელ კედლებში, დანგრეულ სახლებში დაბრუნებულთ უხსნიან ლტოლვილის სტატუსს. აქედან გამომდინარე – დახმარებასაც. უკან დაბრუნებულებს კი ბაღ-ვენახი, ნაკვეთები გავერანებული ხვდებათ.

პოლიტოლოგები ხელისუფლების პრობლემისკენ რადიკალურად შემობრუნებას იმ გარემოებით ხსნიან, რომ გამოცარიელებული ბიუჯეტი სამართალდამცავ და ძალოვან სტრუქტურებს ხელფასებით ველარ უზრუნველყოფს. სწორედ მათ იმედზეღა დარჩნენ „ვარდებით მოსულები".

**ზაზა ბილიხოძე**

◉ სანთელი

**2008 წლის 27 ოქტომბერს კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში გაიმართება ულვთოდ დახვერტილი ტელეჟურნალისტის დავით ბოლქვაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი წიგნის პრეზენტაცია.**

# შენ რა გიჭირს, სამოთხეში ბრძანდები

**დათო ბოლქვაძეს**



**ჩემო დათო, შენი ქვეყნისთვის თავგანწირულო ახალგაზრდა ჟურნალისტო, ვაი რომ, მე, 77 წლის კაცს შენი მოგონება მჭირდება, თუმცა, ისიცა ვთქვათ, რომ სიცოცხლე შვენაირებით ფასობს, შენ ზეციურში ხარ, სამოთხეში, შენ, დღეს გმირი ხარ.**

*სიყვარულის გრძნობა დაგვკნინებია,*
*დაისეტყვა შენი ზეცა კრიალა,*
*ბოროტისგან არა გამკვირვებია,*
*გმირს მოკლავდნენ მაშ მშიშარას კი არა.*

*გიგონებენ თბილისური ჭადრები,*
*სიყვარულის შუქი არის ჩამქრალი,*
*შენ რა გიჭირს, სამოთხეში ბრძანდები,*
*შენი მკვლელი ჯოჯოხეთში, – აქ არის.*

*მკვლელს ვაფურთხებ უნამუსო სახეში,*
*არც ჰყოლია თურმე აკვნის გამთლელი,*
*სანამ გავძლებთ ბოროტების მახეში,*
*ნეტა როდის გაიღვიძებს ქართველი.*

შენი
**ჯანსუღ ჩარკვიანი**
2008 წლის 24 ოქტომბერი

◉ ანეკდოტები

**კითხვაზე „გინდათ თუ არა სექსი პრეზიდენტთან"? – ამერიკელ ქალთა დაახლოებით 80 პროცენტმა უპასუხა, „როგორ, ისევ?!"**

* * *

**ბარაკ ობამა იქნება ამერიკის ყველაზე საუკეთესო პრეზიდენტი: მას ვერავინ გააშავებს?!**

* * *



**დიმიტრი მენდელეევმა გამოიგონა პერიოდული სისტემის ტაბულა, არყის სტანდარტი, ჩემოდნის კონსტრუქცია და ბევრი სხვა რამ. დიმიტრი მედვედევს არაფერი ამისთანა არ გამოუგონია, მაგრამ მისგან გამოიგონეს რუსეთის პრეზიდენტი.**

* * *

**თქვენ თუ ხელში ატატებული მოჰყავხართ, ნუ გათამამდებით, შესაძლოა პროცესია სასაფლაოსკენ მიდის.**

* * *

**რკინიგზის სადგურში:**

**– კიდევ ორიოდე წუთი და მატარებელი გავა. მეც სამხედრო სამსახურში წამიყვანს.**

**– ნუ გეშინია, ძვირფასო, მე დაგიცდი.**

**– საჭირო არაა, წადი სახლში, მე დიდხანს ვერ დავბრუნდები.**

* * *

**თუ კი კაცმა ქალს ძვირფასი უწოდა, მაშასადამე, მას უფრო იაფი ქალი სჭირდება.**

* * *

**განცხადება:**

**„დაიკარგა ძაღლი, პატარა, ქერა ძუკნა. სიდედრი ტირილით თავს იკლავს. ვინც იპოვნის და მოგვიყვანს – მოკვდება".**

* * *

**სასაფლაოს დარაჯი განთავისუფლებაზე განცხადებით დირექციაში მიდის:**

**– კარგი მაგრამ, რატომ გადაწყვიტეთ წასვლა?**

**– მეტი აღარ შემიძლია. მთელი დღე სასაფლაოზე დავდივარ და ვკითხულობ „აქ განისვენებს...", „აქ წევს...", „აქ სძინავს...", მარტო მე ვმუშაობ!**


## განცხადება

**შპს „ვარციხჰესების კასკადის" გაკოტრების საქმის წარმოებასთან დაკავშირებით 2008 წლის 25 ნოემბერს 12 საათზე ქ. თბილისში მიცკევიჩის ქ. №29ა შპს „ფუნდაშენის" ოფისში გაიმართება ღია აუქციონი.**

**აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იქნება შპს „ვარციხჰესების კასკადის" კუთვნილი ქონება:**

1. საოფისე ავეჯი (სამეული 1 ც, სავარძელი 1 ც. მაგიდა 1 ც. ტელევიზორის მაგიდა 1 ც, ჟურნალების მაგიდა 1 ც, კედლის კარადა დიდი 1 ც, კედლის კარადა პატარა 1 ც, კომპიუტერის მაგიდა 1 ც, კომპიუტერის მაგიდის მისადგმელი 1 ც, საკანცელარიო მაგიდა 1 ც, ტუმბო 1 ც.ძ.

აღნიშნული საოფისე ავეჯის საწყისი ფასია 30.524 775 ლარი.

აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველებმა გაკოტრების მმართველს უნდა წარუდგინონ განაცხადი 2008 წლის 25 ნოემბრამდე.

დაწვრილებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ გაკოტრების მმართველს პავლე კიკალიშვილს, მისამართზე ქ. წყალტუბო, სანატორიუმი „იმერეთი".

**ტელეფონი: 899 23-48-33.**

## განცხადება

**შპს „საქართველოს საინვესტიციო ჯგუფის" პარტნიორთა კრების შესახებ**

**2008 წლის 3 ნოემბერს ჩატარდება შპს „საქართველოს საინვესტიციო ჯგუფის" პარტნიორთა რიგგარეშე კრება.**

**კრება ჩატარდება ქ. თბილისში, მოსაშვილის ქ. 24, მეოთხე სართულზე, 17 საათზე.**

**კრების დღის წესრიგი:**

1. შპს „საქართველოს საინვესტიციო ჯგუფის" სამეთვალყურეო საბჭოს გაუქმება;
2. საქმიანობის პროფილის შეცვლა;
3. წესდებების ახალი რედაქციის დამტკიცება;
4. შპს „საქართველოს საინვესტიციო ჯგუფის" დირექტორის განთავისუფლება;
5. შპს „საქართველოს საინვესტიციო ჯგუფის" დირექტორად ბ-ნი დ. მიულერის დანიშვნა.

**შპს „საქართველოს საინვესტიციო ჯგუფის" დირექტორი დ. ასლანიშვილი**


საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის" დამფუძნებლები
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
გამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.